

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი

ნიკოლოზ ჩხარტიშვილი

დაავადების გამოსავლები და მათი დეტერმინანტები აივ/შიდსით  
ავადმყოფებში საქართველოში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვლებად  
წარმოდგენილი დისერტაცია

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:** თენგიზ ცერცვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ლალი შარვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციური დაავადებების და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი



უნივერსიტეტის  
გამოცემა

თბილისი, 2015

## სარჩევი

შესავალი.....	4
თემის აქტუალობა .....	5
მიზანი და ამოცანები .....	13
სიახლე და პრაქტიკული ღირებულება.....	15
მასალა და მეთოდები.....	18
კვლევის დიზაინი და პოპულაცია .....	19
აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების მოდელი.....	19
მონაცემთა წყარო .....	22
დეფინიციები.....	23
სიკვდილის მიზეზები .....	23
აივ/შიდსის კლინიკური სერვისებში ჩართულობასთან დაკავშირებული დეფინიციები .....	25
საერთო დეფინიციები .....	26
სტატისტიკური ანალიზი.....	26
შედეგები.....	29
სიკვდილობის მაჩვენებლები და ასოცირებული რისკის ფაქტორები .....	29
სიკვდილის მიზეზები .....	36
აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობა და ვირუსული სუპრესია.....	39
ვირუსოლოგიური გამოსავალი მე-2 რიგის არვ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში .....	46
განხილვა.....	53
დასკვნებიდარეკომენდაციები .....	65
გამოყენებული ლიტერატურა.....	69
დანართი 1. სადისერტაციო ნაშრომისინგლისურენოვანი რეზიუმე .....	79
დანართი 2. შიდს-ასოცირებული სიკვდილის მიზეზები .....	88
დანართი 3. სადისერტაციონაშრომის თემაზეგამოქვეყნებული პუბლიკაციები .....	91

## გამოყენებული სურათების ჩამონათვალი

სურათი 1. აივ/შიდსის გავრცელება მსოფლიოში .....	6
სურათი 2. არვ მედიკამენტების შემუშავების ქრონოლოგია .....	8

## გამოყენებული დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. არვ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების რაოდენობა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, 2003-2013 .....	7
დიაგრამა 2. ახალი შემთხვევების რაოდენობა და მაჩვენებელი საქართველოში და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში .....	10
დიაგრამა 3. აივ/შიდსის შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით.....	10
დიაგრამა 4. არვ მკურნალობით მოცვის მაჩვენებლები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში .....	11
დიაგრამა 5. ყველა მიზეზით გამოწვეული სიკვდილობის მაჩვენებლები აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში .....	32
დიაგრამა 6. შიდს-ასოცირებული, არა შიდს-ასოცირებული და დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული სიკვდილობა აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში .....	33
დიაგრამა 7. სიკვდილის მიზეზები არვ მკურნალობის უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე და მის შემდეგ. 38	
დიაგრამა 8. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი .....	41
დიაგრამა 9. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი აივ გადაცემის გზების მიხედვით .....	42
დიაგრამა 10. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი სქესის მიხედვით.....	42
დიაგრამა 11. პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც მიაღწიეს ვირუსულ სუპრესიას მე-2 რიგის არვ მკურნალობის დაწყების შემდეგ .....	49

## გამოყენებული ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. კვლევაში ჩართული პოპულაციის ძირითადი მახასიათებლები.....	30
ცხრილი 2. სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები: უნივარსიციული ანალიზი .....	35
ცხრილი 3. სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები: მულტივარიაციული ანალიზი .....	35
ცხრილი 4. სიკვდილის მიზეზები CoDE პროტოკოლის მიხედვით .....	36
ცხრილი 5. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის შემსწავლელ კვლევაში მონაწილეთა ძირითადი საწყისი მახასიათებლები .....	39
ცხრილი 6. კლინიკურ სერვისებში ვერ ჩართვასთან დაკავშირებული ფაქტორები .....	43
ცხრილი 7. მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე ვერ შენარჩუნებასთან დაკავშირებული ფაქტორები.....	44
ცხრილი 8. ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები.....	46
ცხრილი 9. პაციენტების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები ვირუსოლოგიური უშედეგების მომენტისათვის.....	47
ცხრილი 10. პაციენტების კლინიკური მახასიათებლები ვირუსოლოგიური უშედეგების მომენტისათვის .....	48
ცხრილი 11. არვ მკურნალობის რეჟიმის შეცვლიდან 6 თვის თავზე ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები: უნივარსიციული ანალიზი .....	51
ცხრილი 12. არვ მკურნალობის რეჟიმის შეცვლიდან 6 თვის თავზე ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები: მულტივარიაციული ანალიზი.....	52

## შესავალი

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური და/ან სიმსივნური დაავადება.<sup>1</sup>

აივ/შიდსი კლინიკურად პირველად აღწერეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს, როდესაც ზედიზედ იქნა დიაგნოსტირებული იშვიათი დაავადებების - პნევმოციტური პნევმონიისა და კაპოშის სარკომის რამდენიმე შემთხვევა.<sup>2,3</sup> 1982 წელს შიდსი აშშ-ში დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული როგორც ახალი დაავადება. 1983 წელს შიდსის გამომწვევი ვირუსი ერთდროულად იქნა აღმოჩენილი საფრანგეთსა და აშშ-ში.<sup>4,5</sup> არსებული გათვლებით აივ/შიდსის ეპიდემიას სათავე დაედო მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ აფრიკაში, საიდანაც ის ჯერ სუბ-საჰარულ აფრიკაში, ხოლო გასული საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც გავრცელდა.<sup>6</sup>

მართალია აივ/შიდსის მკურნალობასა და პროფილაქტიკაში თანამედროვე მიღწევებმა უზრუნველყვეს ეპიდემიის სტაბილიზაცია განვითარებულ ქვეყნებში, მთლიანად მსოფლიოში აივ ინფიცირებულთარიცხვი განუხრელად იზრდება. არ არსებობს ინფექციის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინა და აივ/შიდსი კვლავაც რჩება განუკურნებელ დაავადებად.

## თემის აქტუალობა

აივ/შიდსი თანამედროვე გლობალური ჯანდაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. გაერთიანებული ერების აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამის (UNAIDS) მონაცემებით 2013 წელს მსოფლიოში 35 მილიონი აივ ინფიცირებული ადამიანი იყო.<sup>7</sup> მათი უმრავლესობა – 24.7 მილიონი ადამიანი – სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონში ცხოვრობდა (სურათი 1). UNAIDS-ის მონაცემებით აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რომელიც მოიცავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, ინფიცირებულია 1.1 მილიონი ადამიანი, მათგან 85% ორ ქვეყანაზე – რუსეთსა და უკრაინაზე მოდის. რეგიონი ხასიათდება მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ეპიდემიით, რაც ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობას.

2013 წელს მსოფლიოში სულ დაინფიცირდა 2.1 მილიონი ადამიანი რაც 38% პროცენტით ნაკლებია 2001 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, როდესაც 3.4 მილიონი ადამიანი დაავადდა აივ/შიდსით. 58%-ით შემცირდა აივ/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა ბავშვებში. ახალი შემთხვევების დაახლოებით 95% დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებზე მოდის.<sup>7</sup>

პროგრესის მიუხედავად აივ/შიდსთან დაკავშირებული დაავადების ტვირთი ისევ მაღალი რჩება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით სიკვდილობის წამყვან მიზეზებს შორის აივ/შიდსი მე-6 ადგილზე იმყოფება მსოფლიოში, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ის სიკვდილის მეორე წამყვანი მიზეზია.<sup>8</sup>

## სურათი 1. აივ/შიდსის გავრცელება მსოფლიოში



წყარო: UNAIDS Gap Report 2014


წყარო: UNAIDS

აივ/შიდსის ეპიდემიასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აივ/შიდსის სამკურნალო ანტირეტროვირუსული (არვ) მკურნალობას. პირველი არვ მედიკამენტის – ზიდოვუდინის გამოყენება დაიწყო 1980-იან წლებში მონოთერაპიის სახით.<sup>9</sup> საწყისი წარმატების მიუხედავად მალევე იქნა ნაჩვენები, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ზიდოვუდინის მონოთერაპია ეფექტური არ არის.<sup>10,11</sup> ასევე უშედეგო აღმოჩნდა ორმაგი თერაპიის გამოყენების მცდელობები.<sup>12</sup>

აივ/შიდსში მკურნალობის თანამედროვე პრინციპების დანერგვა დაიწყო 1996 წლიდან, როდესაც მეცნიერებმა პირველად დაასაბუთეს 3-კომპონენტური მკურნალობის ეფექტურობა.<sup>13,14</sup> იმ პერიოდისთვის არვ მკურნალობის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 20 000 აშშ დოლარს წელიწადში<sup>15</sup> და შესაბამისად მისი ხელმისაწვდომობა განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. უკანაკსნელ

ათწლეულში საერთაშორისო ინციატივების, როგორცაა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, აშშ-ს პრეზიდენტის შიდსთან ბრძოლის პროგრამა, და სხვ., ძალისხმევით არც მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში (დიაგრამა 1). WHO-ს მონაცემებით 2013 წლის ბოლოს მსოფლიოში სულ მკურნალობაზე იყო 12.9 მილიონი აივ/შიდსით ავადმყოფი, მათ შორის 11.7 მილიონი ადამიანი დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში.<sup>16</sup> მკურნალობის გაფართოების შედეგად მსოფლიომ თავიდან აიცილია 7.6 მილიონი ადამიანის სიკვდილი.<sup>7</sup>

**დიაგრამა 1. არც მკურნალობაზე მყოფი პაციენტების რაოდენობა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, 2003-2013**




წყარო: WHO

2014 წლის მდგომარეობით შიდსის სამკურნალოდ სულ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა 30-მდე არც მედიკამენტი (სურათი 2). მათგან სადღეისოდ აქტიურად გამოიყენება 20-მდე მედიკამენტი, რომლებიც წარმოადგენენ 5 ძირითად სამკურნალო კლასს. ეს კლასებია:

ნუკლეოზიდის შებრუნებითი [რევერს]ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორების (ნრტი) კლასი, არა-ნუკლეოზიდის შებრუნებითი [რევერს]ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორების (ანრტი) კლასი, პროტეაზას ინჰიბიტორების (პი) კლასი, ინტეგრაზას ინჰიბიტორების კლასი და შეღწევის ინჰიბიტორების კლასი.<sup>17</sup>

## სურათი 2. არე მედიკამენტების შემუშავების ქრონოლოგია



წყარო: UNAIDS

არე მკურნალობის თანამედროვე პრინციპების დანერგვამ მნიშვნელოვნად შეცვალა აივ/შიდსის ეპიდემიის მიმდინარეობა მსოფლიოში – საგრძნობლად შემცირდა აივ/შიდსთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა,<sup>18-21</sup> შედეგად მკვეთრად გაიზარდა აივ/შიდსით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებელი, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი. სადღეისოდ, დროული გამოვლენისა და მკურნალობის შემთხვევაში აივ/შიდსით ავადმყოფის სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა ზოგადი მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებლებს უახლოვდება.<sup>22-</sup>

<sup>25</sup>სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად აივ/შიდსით ავადმყოფებში მატულობს ქრონიკული არაგადამდები დაავადებების სიხშირე და იცვლება სიკვდილის მიზეზების



სტრუქტურა. ქვეყნებში სადაც არც მკურნალობა ფართოდაა ხელმისაწვდომი მისი დანერგვის დღიდან აივ/შიდსით ავადმყოფების სიკვდილის მიზეზებში სულ უფრო ჭარბობს შიდსისგან დამოუკიდებელი მდგომარეობები.<sup>26,27</sup>

არც მკურნალობის მთავარი მიზანის - გაზარდოს სიცოცხლის ხანგრძლივობა და ხარისხი - მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი უზრუნველყოფილია მდგრადი ვირუსული სუპრესია. კვლევებით ნაჩვენებია იყო, რომ აივ აქტიური რეპლიკაცია დაავადების პროგრესირებისა და სიკვდილის დამოუკიდებელი პრედიქტორია.<sup>28-30</sup> თავის მხრივ ვირუსული სუპრესიის უზრუნველყოფა საჭიროებს აივ/შიდსით ავადმყოფების მაქსიმალურ ჩართულობას კლინიკურ სერვისებში, რომელიც მოიცავს აივ/შიდსით ავადმყოფის გამოვლენას, მის ჩართვას და შენარჩუნებას კლინიკურ მეთვალყურეობაზე, არც მკურნალობის დროულ დაწყებას და მდგრადი ვირუსული სუპრესიის მიღწევას.<sup>31</sup> თითოეული ამ საფეხურის შესრულება უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნებისმიერ ეტაპიდან ამოვარდნა დაკავშირებულია სიკვდილობის რისკის მატებასთან.<sup>32-34</sup>


საქართველოში აივ/შიდსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა 1989 წელს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია აივ/შიდსის 4 697 შემთხვევა, მათგან 3 449 მამაკაცი და 1 248 ქალია. აივ/შიდსის შემთხვევების სავარაუდო რიცხვია 6 400. ეპიდემიის დაწყებიდან შიდსი განუვითარდასულ 2 827 ავადმყოფს და 977 გარდაიცვალა.

უკანასკნელი წლების დინამიკა მიუთითებს, რომ ქვეყანაში აღინიშნება აივ/შიდსის ახალი შემთხვევების ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდა (დიაგრამა2). 2014 წელს სულგამოვლინდა აივ/შიდსის 564 ახალი შემთხვევა. ეპიდემიის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში აივ/შიდსის ახალი შემთხვევების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია

ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (დიაგრამა2).


საქართველოში აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით პირველ ადგილზეა ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება - 49.3%, შემდეგ მოდის ჰეტეროსექსუალური კონტაქტი - 41.7%, ჰომოსექსუალური კონტაქტი - 5.9%, ვერტიკალური გზით (დედიდან ბავშვზე) ინფიცირება - 1.8%, აივ ინფიცირებული სისხლის გადასხმა 0.5%, ხოლო 0.8%-ში დაინფიცირების გზა დაუდგენელია (დიაგრამა3).

დიაგრამა2. ახალი შემთხვევების რაოდენობა და მაჩვენებელი საქართველოში და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში



წყარო: შიდსის ცენტრი, WHO/Europe

დიაგრამა3. აივ/შიდსის შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით




წყარო: შიდსის ცენტრი

საქართველომ ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო შიდსის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში 1997 წლიდან დაინერგა იმ დროისთვის უახლესი სამკომპონენტო არემკურნალობა.

2004 წლიდან შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ხელშეწყობით საქართველომ პირველმა და ჯერ-ჯერობით ერთადერთმა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უზრუნველყო და შეინარჩუნა არემკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა.<sup>35</sup> 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოში არემკურნალობაზე იმყოფებოდა მკურნალობისთვის მისაღები პაციენტების სავარაუდო რიცხვის 71%, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში და ორჯერ აღემატებოდა საშუალო რეგიონულ მაჩვენებელს (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4. არემკურნალობით მოცვის მაჩვენებლები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში**



წყარო: UNAIDS

ქვეყანაში დანერგილია მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების ეფექტური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მიღწევის მდგრადობას. მოდელი მოიცავს კლინიკური მონიტორინგის სპეციალურ ალგორითმს, რომელიც ითვალისწინებს თითოეული პაციენტის რეგულარულ (წელიწადში სამჯერ) გამოკვლევას ძირითად კლინიკურ და ლაბორატორიულ პარამეტრებზე. გლობალური ფონდისა და სახელმწიფო პროგრამების ერთობლივი ძალისხმევით სადღეისოდ უკლებლივ ყველა გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფი საქართველოში უფასოდ იღებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებით.

აივ/შიდსის გამოსავლების ყოვლისმომცველი შეფასება საქართველოში არ ჩატარებულა. ქვეყანაში არც მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიუხედავად შიდსთან დაკავშირებული ავადობისა და სიკვდილობის პრობლემა კვლავაც მნიშვნელოვანია.

საქართველოში ეპიდემიის დაწყების დღიდან გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფების დაახლოებით 20% მოკვდა. დაავადების გამოსავლებისა და მათთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, აღნიშნული მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ინფორმაცია სიკვდილობის და სიკვდილის მიზეზების სტრუქტურისა და ასოცირებული რისკის ფაქტორების შესახებ ეხმარება კლინიციკტებსა და ჯანდაცვის ორგანიზატორებს შეიმუშავონ და დანერგონ აივ/შიდსის კლინიკური მართვის ეფექტური მიდგომები, რომელიც ყველაზე უკეთ იქნება მორგებული არსებულ სიტუაციასთან. ამასთან უაღრესად მნიშვნელოვანია პაციენტთა კლინიკურ სერვისებში ჩართულობის და ვირუსოლოგიური გამოსავლების შესწავლა, რათა ზუსტად განისაზღვროს აივ/შიდსის მართვის რომელ ეტაპზე ხდება პაციენტის დაკარგვა და შესაბამისად შემუშავდეს სერვისების მიწოდების ოპტიმალური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის მაღალ ჩართულობას და მდგრადი ვირუსული სუპრესიის მაღალ მაჩვენებლებს.

## **მიზანი და ამოცანები**

წარმოდგენილ შრომის გრძელვადიანი მიზანია საქართველოში აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების მოდელის ეფექტურობის შეფასება, არსებული

ნაკლოვანებების გამოვლენა და აღნიშნული მოდელის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა.

ამ მიზნით შესწავლილ იქნა დაავადების გამოსავლები და მათი დეტერმინანტები აივ/შიდსით ავამდყოფებში საქართველოში. გამოსავლებად განისაზღვრა სიკვდილობა და ვირუსის სუპრესია. დამოუკიდებლად იქნა შეფასებული აივ კლინიკურ სერვისებში ჩართულობა, როგორც გამოსავლების მნიშვნელოვანი დეტერმინანტი.

აღნიშნული მიზანის შესასრულებლად დაისახა შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 1: ა) სიკვდილობის მაჩვენებლებისა და სიკვდილის მიზეზების განსაზღვრა და ტენდენციების შეფასება

ბ) სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების განსაზღვრა

ამოცანა 2: ა) აივ/შიდსის სერვისებში ჩართულობის შეფასება

ბ) პოპულაციურ დონეზე ვირუსული სუპრესიის მაჩვენებლების განსაზღვრა

გ) აივ/შიდსის სერვისებში ჩართულობასთან დაკავშირებული ფაქტორების განსაზღვრა

ამოცანა 3: ა) ვირუსული სუპრესიის მაჩვენებლების განსაზღვრა მეორე რიგის არე მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს შორის

ბ) ვირუსოლოგიურ პასუხთან დაკავშირებული ფაქტორების განსაზღვრა

## სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

წარმოდგენილი შრომა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ კვლევამ მოიცვა საქართველოში აივ/შიდსის ეპიდემიის დაწყების დღიდან 2012 წლის ჩათვლით ქვეყანაში გამოვლენილი ყველა აივ/შიდსით ავადმყოფი. შესაბამისად უზრუნველყოფილი იყო 100%-იანი რეპრეზენტატიულობა, რაც აძლიერებს მიღებული შედეგების სარწმუნოებას.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მსგავსი რეპრეზენტატიულობის კვლევა მანამდე არ ჩატარებულა და ის ინოვაციურია საერთაშორისო მასშტაბით.

კვლევაში მიღებული ფაქტები მოპოვებულია პირველად საქართველოში და რიგ შემთხვევებში მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. კერძოდ პირველად:

- განისაზღვრა სიკვდილობის მაჩვენებლები დადადგინდა სიკვდილის წამყვანი მიზეზები აივ/შიდსით ავადმყოფების მთლიანი პოპულაციის დონეზე
- შეფასდა ტენდენციები სიკვდილობისა და სიკვდილის მიზეზების კუთხით გრძელვადიან პერიოდზე
- განისაზღვრა სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები
- გამოთვლილ იქნა აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი და გამოვლინდა ჩართულობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და ასოცირებული რისკის ფაქტორები
- განისაზღვრა ვირუსული სუპრესიის მაჩვენებლები და ასოცირებული რისკის ფაქტორები

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში აივ/შიდსის გამოსავლების კუთხით მონაცემების სიმწირის გათვალისწინებით წარმოდგენილი შრომა საინტერესოა როგორც რეგიონულ ისე უფრო ფართო საერთაშორისო თვალსაზრისითაც. მიღებული შედეგები ნაწილობრივ მაინც ავსებს ამ საკითხში არსებულ ინფორმაციის დეფიციტს, რაც მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების



გლობალური სახელმძღვანელო–რეკომენდაციების შემუშავებისათვის, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონული თავისებურებები.

წარმოდგენილ შრომას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს საქართველოსათვის. კერძოდ კვლევის ფარგლებში განისაზღვრა:

- რა მიზეზები განაპირობებენ სიკვდილს აივ/შიდსით ავადმყოფებში იმის ფონზე, რომ ქვეყანა უზრუნველყოფს უნივერსალურ ხელმისაწვდომობას არც მკურნალობაზე
- რომელი დაავადებები და/ან კლინიკური მდგომარეობებია სიკვდილის წამყვანი მიზეზები აივ/შიდსით ავადმყოფებში
- აივ/შიდსის სერვისების რომელ ეტაპზეა ჩართულობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება
- განისაზღვრა თუ ვინ (რომელი პოპულაციები) არიან სიკვდილისა და სერვისებიდან დაკარგვის მომატებული რისკის ქვეშ

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა დანერგვა კიდევ უფრო გააუმჯობესებს აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდებას და შესაბამისად პროგრამულ და კლინიკურ გამოსავლებს. რეკომენდაციები ასევე მიმართულია აივ/შიდსის სერვისებში მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფისკენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც დაავადების გამოსავლების გაუმჯობესების, ისე ახალი ინფექციების პრევენციის კუთხით ვინაიდან მდგრადი ვირუსული სუპრესია არა მხოლოდ ხელს უწყობს დაავადების პროგრესირების პრევენციას, არამედ თითქმის 100%-ით ამცირებს აივ სქესობრივი გადაცემის რისკს.<sup>36</sup> შესაბამისად, ამ რეკომენდაციების

დანერგვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მკურნალობისა და მოვლის სერვისების გაუმჯობესების, არამედ მთლიანად აივ/შიდსის ეპიდემიაზე ზეგავლენის მოხდენის კუთხითაც.

## მასალა და მეთოდები

წარმოდგენილი შრომა შესრულებულია ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში, რომელიც წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის

ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის ბაზას.

## **კვლევის დიზაინი და პოპულაცია**

დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ჩატარდა რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა, რომელმაც მოიცვა ყველა ზრდასრული (ასაკი  $\geq 18$  წელი) აივ/შიდსით ავადმყოფი, რომელთაც დაესვათ აივ ინფექციის დიაგნოზი 1989 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მონიჭილეთა რიცხვი (შენარჩევის ზომა) განსხვავებული იყო ამოცანების მიხედვით:

ამოცანა 1: 3 554 ზრდასრული აივ/შიდსით ავადმყოფი

ამოცანა 2: 2 545 ზრდასრული აივ/შიდსით ავადმყოფი

ამოცანა 3: 84 ზრდასრული აივ/შიდსით ავადმყოფი

## **აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების მოდელი**

საქართველოში აივ/შიდსის კლინიკური სამსახურის სათაო დაწესებულებაა ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი (შიდსის ცენტრი). კლინიკური სერვისების მიწოდება ხორციელდება უშუალოდ შიდსის ცენტრში და მასთან ასოცირებულ რეგიონულ ცენტრებში. აივ/შიდსთან დაკავშირებული ყველა სამედიცინო მომსახურება უფასოა.

არც მკურნალობა ტარდება კლინიკური პრაქტიკის ეროვნული სახელმძღვანელო-რეკომენდაციების (გაიდლაინების) მიხედვით, რომელიც ეფუძნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების (როგორცაა ევროპის შიდსის კლინიკური საზოგადოება, ბრიტანეთის აივ ასოციაცია, აშშ

ჯანდაცვის დეპარტამენტი) გაიდლაინებს. ეროვნული გაიდლაინის განახლება რეგულარულად ხორციელდება ახალი მტკიცებულებების გამოჩენისთანავე.

არსებული ეროვნული გაიდლაინების მიხედვით 2010 წლამდე არც მკურნალობა რეკომენდებული იყო როდესაც CD4+ ლიმფოციტების მაჩვენებელი ნაკლები იყო 200 უჯრედი/მმ<sup>3</sup>. 2011 წელს დაიწყო და 2012 წელს დასრულდა იმ დროისთვის WHO-ს უახლეს რეკომენდაციის ეტაპობრივი დანერგვა, რომელიც ითვალისწინებდა მკურნალობის უფრო ადრეულ დაწყებას CD4+ ლიმფოციტების მაჩვენებელზე <350 უჯრედი/მმ<sup>3</sup>.

მკურნალობისთვის მისაღები პირების გამოვლენა ხორციელდება ყველა პაციენტის რეგულარული გამოკვლევის გზით სპეციალური ალგორითმის გამოყენებით.

გამოკვლევები მოიცავს ძირითად კლინიკო–ლაბორატორიულ პარამეტრებს, როგორცაა CD4+ ლიმფოციტების მაჩვენებელი, პლაზმაში აივ კონცენტრაცია (ვირუსული დატვირთვა), თანმდევი დაავადებების არსებობა და სხვ.

პირველი რიგის მკურნალობის რეკომენდებული რეჟიმი შედგება 2 ნრტი და 1 ანრტი კომბინაციისგან. რიტონავირით გაძლიერებული (ბუსტირებული) პროტეაზას ინჰიბიტორი ინიშნება იმ შემთხვევაში თუკი ანრტი–ს გამოყენება უკუნაჩვენებია. ნრტი კომპონენტის სახით გამოიყენება ტენფოვირი + ემტრიციტაბინი, ან ზიდოვუდინი + ლამივუდინი ან აბაკავირი + ლამივუდინი. ეფავირენზი უპირატესი ანრტი მედიკამენტია, ხოლო ნევირაპინი კი მისი ალტერნატივა.

არც მკურნალობის ეფექტურობის მონიტორინგი ეფუძნება აივ ვირუსული დატვირთვის და CD4+ ლიმფოციტების მაჩვენებლების რეგულარულ – წელიწადში 3–4–ჯერ, მონიტორინგზე. ვირუსული უშედეგების შემთხვევაში (განისაზღვრება როგორც ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი >400 ასლი/მლ–ზე მკურნალობის 24–ე კვირაზე ან ვირუსული დატვირთვის განსაზღვრადი მაჩვენებელი თუკი ის მანამდე იყო განუსაზღვრელი) კეთდება აივ გენოტიპური რეზისტენტობის ტესტი. ამ ტესტის

მეშვეობით ირკვევა აქვს თუ არა პაციენტს ვირუსის რეზისტენტული შტამი და თუ კი, მაშინ რომელი არე მედიკამენტებისადმია ის რეზისტენტული.

დადასტურებული აივ რეზისტენტობის შემთხვევაში არე მკურნალობის რეჟიმი იცვლება ვირუსის რეზისტენტობის პროფილის მიხედვით. მე-2 და შემდგომი რიგების არე მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების არსენალი მოიცავს როგორც პროტეაზას ინჰიბიტორებს (ლოპინავირ/რიტონავირი, ატანანავირ/რიტონავირი, დარუნავირ/რიტონავირი), ისე უახლესი თაობის მედიკამენტებს როგორცაა რალტეგრავირი (ინტეგრეზას ინჰიბიტორი), მარავიროკი (შერწყმის ინჰიბიტორი) და ეტრავირინი (ახალი თაობის ანრტი).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არე მკურნალობის რეჟიმის დაცვას (დამყოლობას). ამისათვის შემუშავებულია და დანერგილია სპეციალური მიდგომა, რომელიც მოიცავს დამყოლობის მონიტორინგს და კონსულტირებას კლინიკაში არე მედიკამენტების გატანისას ყოველთვიურად. გარდა ამისა ფუნქციონირებს მობილური ბრიგადების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დამყოლობასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას ბინაზე.

მტკიცე კავშირები არსებობს აივ/შიდსის სამსახურსა და ჯანდაცვის სხვა მომიჯნავე დარგებს შორის, განსაკუთრებით კი ტუბერკულოზის და ნარკოლოგიურ სამსახურებთან. ერთობლივი აივ/ტუბერკულოზის ღონისძიებები მოიცავს ყველა აივ/შიდსით ავადმყოფის გამოკვლევას ტუბერკულოზზე და გამოვლენილი შემთხვევების მკურნალობას ორივე დაავადებაზე.

კლინიკურ მეთვალყურეობაზე პაციენტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად აივ/შიდსის კლინიკური სამსახური მუდმივ კონტაქტზეა პაციენტებთან. თითოეული მათგანის საკონტაქტო ინფრომაცია რეგულარულად ახლდება და საჭიროების

შემთხვევაში ხდება პაციენტთან ან მის ახლობლებთან დაკავშირება რათა უზურუნველყოფილი იყოს კლინიკურ ვიზიტების დროული შესრულება და თავიდან იქნას აცილებული სერვისებიდან დაკარგვა.

## მონაცემთა წყარო

კვლევისათვის საჭირო მონაცემები ამოღებულ იქნა აივ/შიდსის ეროვნული მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან და ავადმყოფობის ისტორიებიდან.

შიდსის ცენტრი უზურუნველყოფს აივ/შიდსის ეროვნული მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფუნქციონირებას ქვეყანაში აივ/შიდსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან. დროთა განმავლობაში აღნიშნულმა ბაზამ გაიარა მოდიფიკაციისა და სრულყოფის ეტაპები და მისი უკანასკნელი ვერსია ამოქმედდა 2011 წელს. ამჟამად მონაცემთა ბაზა წარმოადგენს ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ თანამედროვე ტიპის ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემას, რომელშიც ჩართულია ქვეყნის მასშტაბით არსებული შიდსის სამკურნალო ყველა ცენტრი. ვებ-ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მონაცემთა შეტანა და გამოყენება განხორციელდეს ერთდროულად მრავალი მომხმარებლის მიერ. ბაზა მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოში გამოვლენილ ყველა აივ/შიდსით ავადმყოფზე, მათ შორის დემოგრაფიულ, ეპიდემიოლოგიურ, კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებს.

2011 წლამდე არსებული ინფორმაცია რეტროსპექტულად იქნა იმპორტირებული მონაცემთა ბაზის ახალ ვერსიაში მანამდე არსებული ვერსიიდან, ხოლო 2011 წლიდან მოყოლებული ყველა მონაცემის შეგროვება ხორციელდება პროსპექტულად. მონაცემთა ბაზის ოპერირებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაცემთა ხარისხს, ამ მიზნით შემუშავებულია და დანერგილია მონაცემთა ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს მონაცემთა ბაზის მართვის ჯგუფი და მოიცავს მონაცემთა

შესაბამისობისა და გამოტოვებული ველების რუტინულ შემოწმებას, და ასევე ბაზაში შეტანილი მონაცემების შედარებას წყარო დოკუმენტებთან.

შემდეგი მონაცემები იქნა ამოღებული მონაცემთა ბაზიდან: აივ დიაგნოზის თარიღი, ასაკი, სქესი, აივ გადაცემის გზა, CD4 უჯრედების და ვირუსული დატვირთვის მაჩვენებლები, აივ გენოტიპური რეზისტენტობის ტესტის შედეგი, შიდსის ინდიკატორული დაავადების და სხვა თანხმლები დაავადებების არსებობა, არვ მკურნალობის ისტორია, არვ მედიკამენტების გატანის თარიღები, სიკვდილის თარიღი.

სიკვდილის მიზეზების განსაზღვრისათვის ინფორმაცია ამოკრებილ იქნა ავადმყოფობის ისტორიებიდან.

## დეფინიციები

### სიკვდილის მიზეზები

სიკვდილის მიზეზების კლასიფიკაციისათვის გამოყენებულ იქნა აივ/შიდსში სიკვდილის მიზეზების კოდირების პროტოკოლი (CoDe), რომელიც სპეციალურად აივ/შიდსის დარგისთვის იქნა შემუშავებული საერთაშორისო ექსპერტების მიერ.<sup>37,38</sup> CoDe პროტოკოლით მიღებული შედეგები შედარებულ იქნა ავადმყოფობის ისტორიაში დაფიქსირებულ სიკვდილის მიზეზთან, რომელიც ისაზღვრება მკურნალი ექიმის მიერ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის (ICD-10) მიხედვით.<sup>39</sup> თუკი მკურნალი ექიმისათვის ინფორმაცია სიკვდილის გარემოებების შესახებ უცნობია, მაშინ სიკვდილის მიზეზის დასადგენად ტარდება ვერბალური აუტოფსია ოჯახის წევრებისა და/ან ახლობლების გამოკითხვის გზით WHO-ს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.<sup>40</sup>

თუ CoDe პროტოკოლით მიღებული შედეგები განსხვავდებოდა ავადმყოფობის ისტორიაში დაფიქსირებული მიზეზისგან იკრიბებოდა სამი ექსპერტისგან შემდგარი პანელი, რომელიც უნდა მისულიყო კონსესუსამდე. კონსესუსის არ არსებობის შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი განისაზღვრებოდა უმრავლესობით, ხოლო სამივე ექსპერტის მხრიდან განსხვავებული მოსაზრების შემთხვევაში ითვლებოდა რომ სიკვდილის მიზეზი უცნობია.

CoDe პროტოკოლის მიხედვით სიკვდილის მიზეზები ჯგუფდება სამ ძირითად კატეგორიაში: 1) შიდს-ასოცირებული; 2) არა შიდს-ასოცირებული; 2) დაუდგენელი.

შიდს-ასოცირებულად ითვლებოდა სიკვდილის მიზეზი თუ: ა) სიკვდილის გამოწვეული იყო შიდს-ინდიკატორული დაავადებით აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) კლასიფიკაციის მიხედვით<sup>41,42</sup> ან CoDe პროტოკოლით განსაზღვრული დამატებითი მდგომარეობებით, რომელთა განვითარება მნიშვნელოვნადაა განპირობებული აივ/შიდსით (იხ. დანართი 2); ბ) სიკვდილის ზუსტი მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ პაციენტს სიკვდილამდე 6 თვის ფარგლებში დაესვა შიდს-ინდიკატორული დაავადების დიაგნოზი ან CD4+ უჯრედების მაჩვენებელი იყო <200 უჯრედი/მმ<sup>3</sup>.

არა შიდს-ასოცირებული სიკვდილის მიზეზებში გაერთიანდა ყველა ის დაავადება რომელიც არ მოხვდა პირველ კატეგორიაში, მათ შორის ინფექციები, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტები, არა შიდს-ინდიკატორული ავთვისებიანი სიმსივნეები, შაქრიანი დიაბეტი, პანკრეატიტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები, ინსულტი, საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები, ფილტვის დაავადებები, თირკმლის დაავადებები, სუიციდი, უბედური შემთხვევა და წამალთდამოკიდებულება.



## აივ/შიდსის კლინიკური სერვისებში ჩართულობასთან დაკავშირებული დეფინიციები

აივ/შიდსით ავადმყოფების კლინიკურ სერვისებში ჩართულობის შესაფასებლად გამოყოფილ იქნა 7 ეტაპი:

- 1) **აივ ინფიცირებული:** აივ ინფიცირებული პირების სავარაუდო რიცხვი
- 2) **აივ გამოვლენილი:** აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც დაესვა აივ/შიდსის დიაგნოზი არსებული პროტოკოლის მიხედვით (დადებითი აივ ტესტი, რომელიც დადასტურდა იმუნობლოტინგის ან პოლიმერაზული ჯაჭური რეაქციის მეთოდით)
- 3) **კლინიკურ სერვისებში ჩართული:** აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ 1 დოკუმენტირებული კლინიკური ვიზიტი (CD4+ უჯრედების მაჩვენებლის ან ვირუსული დატვირთვის განსაზღვრა) აივ გამოვლენის შემდგომ
- 4) **მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე:** აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ 1 დოკუმენტირებული კლინიკური ვიზიტი (CD4+ უჯრედების მაჩვენებლის ან ვირუსული დატვირთვის განსაზღვრა) კვლევის დასრულებამდე 12 თვის ფარგლებში
- 5) **ესაჭიროება არე მკურნალობა:** აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც აქვს CD4+ უჯრედების მაჩვენებელი  $< 350$  უჯრედი/მმ<sup>3</sup> ან სახეზეა შიდს-ინდიკატორული დაავადება
- 6) **არე მკურნალობაზე:** აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც დაენიშნა არე მკურნალობა და მინიმუმ ერთხელ გაიტანა არე მედიკამენტები კვლევის დასრულებამდე 3 თვის ფარგლებში

7) *ვირუსული სუპრესია*: აივ ინფიცირებული პირის პლაზმაში აივ რნმ-ის კონცენტრაცია <400 ასლი/მლ.

## საერთო დეფინიციები

*დაკარგვა*: აივ/შიდსით პაციენტი ითვლებოდა დაკარგულად თუ მისი სტატუსის დადასტურება ვერ მოხერხდა პაციენტის აივ/შიდსის სამსახურთან უკანასკნელი დოკუმენტირებული ვიზიტიდან 12 თვის მანძილზე.

*შიდსი*: შიდს-ინდიკატორული დაავადების დიაგნოზი ან CD4+ უჯრედების მაჩვენებელი <200 ურჯედი/მმ<sup>3</sup>.<sup>42</sup>

*არე მკურნალობა*: მინიმუმ 3 არე მედიკამენტის კომბინაცია, რომელიც დაინიშნა აივ/შიდსის სამკურნალოდ, და არა დედიდან ბავშვზე აივ გადაცემის პროფილაქტიკის ან ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის მიზნით.

## სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამა SAS 9.2 მეშვეობით. ამოცანების მიხედვით გამოყენებულ იქნა შემდეგი სტატისტიკური მეთოდები:

### ამოცანა 1

აივ/შიდსით ავადმყოფების ჩართვის წერტილად აღებულ იქნა აივ დიაგნოზის დასმის თარიღი. დაკვირვება გაგრძელდა სიკვდილის თარიღამდე ან 2012 წლის 31 დეკემბრამდე,

ან პაციენტის აივ/შიდსის სამსახურთან უკანასკნელი დოკუმენტირებული ვიზიტიდან ზუსტად 12 თვის თავზე, რომელიც უფრო ადრე მოხდებოდა.

სიკვდილობა შეფასებულ იქნა მთლიანი დაკვირვების პერიოდისათვის და ცალკეული კალენდარული წლისთვის ცალ-ცალკე. სიკვდილობის მაჩვენებლები გამოთვლილ იქნა ყოველ 100 პაციენტზე წელიწადში, ამისათვის სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა გაყოფილ იქნა პაციენტებისა და დაკვირვების პერიოდის ჯამურ მონაცემზე და გამრავლებულ იქნა 100-ზე. სულ 4 ტიპის სიკვდილობის მაჩვენებლები იქნა გაანგარიშებული: 1) სიკვდილობა ყველა მიზეზით; 2) სიკვდილობა შიდს-ასოცირებული მიზეზებით; 3) სიკვდილობა არა შიდს-ასოცირებული მიზეზებით; 4) სიკვდილობა დაუდგენელი მიზეზებით.

სიკვდილობის თითოეულ მაჩვენებელზე გაანგარიშებულ იქნა 95% სარწმუნოების ინტერვალი (95% CI) ზუსტი ბინომიალური მეთოდების გამოყენებით. ბივარიაციული შედარებებისთვის გამოყენებულ იქნა პირსონის (Pearson)  $\chi^2$  ან ფიშერის (Fisher) ზუსტი ტესტი საჭიროებისამებრ.<sup>43</sup> სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა კოქსის (Cox) მულტივარიაციული რეგრესიული მოდელი.<sup>44</sup> არც მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყო ორი პერიოდი „არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე“, რომელმაც მოიცვა 1989–2004 წწ. და „არც უნივერსალური ხელმისაწვდომობის შემდეგ“, რომელმაც მოიცვა პერიოდი 2005–2012 წწ.

## ამოცანა 2

აივ/შიდსით ავადმყოფების ჩართულობა აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში გამოხატულ იქნა პროცენტებში. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა ორი მიდგომა: პირველ

შემთხვევაში ჩართვის პროცენტული მაჩვენებელი გამოთვლილ იქნა ყოველი წინამორბედი ეტაპიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი გამოანგარიშებლ იქნა მთლიანი პოპულაციიდან. აივ ინფიცირებული პირების სავარაუდო რიცხვი გამოთვლილ იქნა UNAIDS და WHO-ს მიერ რეკომენდებული პროგრამა Spectrum-ის მეშვეობით.<sup>45</sup> ამ პროგრამაში გამოყენებული მეთოდოლოგიისა და დაშვებების განახლება ხორციელდება რეგულარულად UNAIDS-ის მოდელირებისა და პროგნოზირების რეფერენს ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე. კვლევაში გამოყენებულ იქნა პროგრამის იმ დროისთვის არსებული უახლესი ვერსია 4.47.

ბივარიაციული შედარებებისთვის გამოყენებულ იქნა პირსონის (Pearson)  $\chi^2$  ან ფიშერის (Fisher) ზუსტი ტესტი საჭიროებისამებრ.<sup>43</sup> მულტივარიაციული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა პუასონის (Poisson) მოდიფიცირებული რეგრესიული მოდელი.<sup>46,47</sup> სულ სამი მულტივარიაციული მოდელი იქნა აგებული: პირველში შესწავლილ იქნა კლინიკურ სერვისებში ვერ ჩართვასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები; მეორე მოდელმა შეისწავლა კლინიკურ სერვისებში ვერ შენარჩუნებასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები; მესამე მოდელში შეფასებულ თუ რა რისკ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევა.

### ამოცანა 3

მე-3 ამოცანამ მოიცვა მეორე რიგის არვ მკურნალობაზე მყოფი პაციენტები, რომელთაც შეეცვალათ მკურნალობა აივ რეზისტენტობის საფუძველზე. შეფასების საბოლოო წერტილი იყო აივ ვირუსული სუპრესია არვ რეჟიმის შეცვლიდან მე-6, მე-12, 24-ე და 36-ე თვეებზე. მულტივარიაციული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა პუასონის (Poisson) მოდიფიცირებული რეგრესიული მოდელი.<sup>46,47</sup> სპეციალურად აღნიშნული ამოცანისთვის გამოთვლილ იქნა დამყოლობის მაჩვენებელი არვ რეჟიმის შეცვლამდე 6 თვის პერიოდისთვის და არვ რეჟიმის შეცვლის შემდგომი 6 თვის პერიოდისთვის ცალ-ცალკე. ამისთვის გამოყენებულ იქნა მედიკამენტების დროულ გატანაზე დაფუძნებული

დამყოლობის მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი გამოიხატა პროცენტებში და გამოთვლილ იქნა როგორც გატანილი მედიკამენტის სამყოფი დღეების რაოდენობა გაყოფილი გატანებს შორის არსებულ დღეების რაოდენობაზე და გამრავლებული 100%-ზე.<sup>48</sup> ქვეყანაში მანამდე ჩატარებული დამყოლობის კვლევით ნაჩვენები იყო ამ მეთოდის ვალიდურობა საქართველოს პირობებში.<sup>49</sup>

## შედეგები

### სიკვდილობის მაჩვენებლები და ასოცირებული რისკის ფაქტორები

1989 წლიდან 2012 წლის ჩათვლით საქართველოში სულ გამოვლინდა 3554 ზრდასრული აივ/შიდსით ავადმყოფი, მათზე დაკვირვების საერთო ხანგრძლივობა იყო 13572 ადამიანი-წელი (person-year). დაკვირვების საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 2.8 წელი (კვარტილთაშორისი ინტერვალი[IQR]: 0.9–5.8). 2012 წლის ბოლოსთვის 2378 (66.9%)

აივ/შიდსით ავადმყოფი იყო ცოცხალი, 779 (21.9%) პაციენტი მოკვდა, ხოლო 397 (11.2%) პაციენტის სტატუსი ვერ დადასტურდა და ჩაითვალნენ დაკარგულებად.

ცხრილი 1–ში მოცემულია კვლევაში ჩართული პოპულაციის ძირითადი მახასიათებლები აივ დიაგნოზის მომენტისათვის არსებული მდგომარეობის შესაბამისად. 3554 რეგისტრირებული შემთხვევიდან 2611 (73.5%) იყო კაცი და საშუალო ასაკი იყო 36 წელი (IQR: 30-42). შემთხვევათა ნახევარზე მეტი – 54.8% დაინფიცირდა ნარკოტიკების ინექციური მოხმარების გზით, 39.6%–ში ინფიცირების მიზეზი იყო ჰეტეროსექსუალური კავშირი, ხოლო 4.6% დაინფიცირდა მამაკაცთა შორის ჰომოსექსუალური კავშირის გზით. რეგისტრირებულ შემთხვევებს შორის CD4+ უჯრედების საწყისი მაჩვენებელი ხელმისაწვდომი იყო 2947 (82.9%) პაციენტში და საშუალო მაჩვენებელი იყო 238 უჯრედი/მმ<sup>3</sup> (IQR: 106-408). 1284 (36.1%) პაციენტს ჰქონდა შიდს–ინდიკატორული დაავადება, მათ შორის იყო ტუბერკულოზის 523 (14.7%) შემთხვევა. შიდს–ინდიკატორული დაავადებების და CD4+ უჯრედების გაერთიანებული მაჩვენებლის საფუძველზე შიდსი სულ ჰქონდა 1715 (48.3%) პაციენტს. C ჰეპატიტის ვირუსის (HCV) საწინააღმდეგო ანტისხეულები გამოვლენილ იქნა 1680 (47.3%) პაციენტში. 221 (6.2%) პაციენტს ჰქონდა B ჰეპატიტის ზედაპირული ატნიგენი (HBsAg) (ცხრილი 1). სულ 1877 (52.8%) აივ/შიდსით ავადმყოფს ოდესმე ჩატარებია არვ მკურნალობა.

**ცხრილი 1. კვლევაში ჩართული პოპულაციის ძირითადი მახასიათებლები**

მახასიათებელი	n=3 554
ასაკი წლებში, მედიანა (ინტერვალი*)	36 (30–42)
სქესი, n (%)	
ქალი	943 (26.5)

კაცი	2611 (73.5)
<b>აივ გადაცემის გზა, n (%)</b>	
ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება	1949 (54.8)
ჰეტეროსექსუალური კავშირი	1406 (39.6)
ჰომოსექსუალური კავშირი	152 (4.3)
სისხლის რეციპიენტი	16 (0.4)
დაუდგენელი	31 (0.9)
<b>აივ დიაგნოზის პერიოდი, n (%)</b>	
არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე	631 (17.8)
არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობის შემდეგ	2923 (82.2)
<b>კლინიკური სტატუსი დიაგნოზისას</b>	
CD4+ უჯრედების მაჩვენებელი, მედიანა (ინტერვალი*)	238 (106–408)
შიდსი, n (%)	1715 (48.3)
ტუბერკულოზი, n (%)	523 (14.7)
anti-HCV+, n (%)	1680 (47.3)
HBsAg+, n (%)	221 (6.2)

\*კვარტილთაშორისი ინტერვალი

აივ დიაგნოზის დასმის პერიოდის მიხედვით გაკეთებულმა შედარებამ აჩვენა, რომ არც უნივერსალური ხელმისაწვდომობის შემდგომ პერიოდთან შედარებით უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე პერიოდში გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფები უფრო ახალგაზრდები იყვნენ (საშუალო მაჩვენებლები პერიოდის მიხედვით: 33 წელი– 37 წელი,  $p<0.0001$ ), მეტი ალბათობით იყვნენ მამრობითი სქესის (82.3% – 71.6%,  $p<0.0001$ ) და ნარკოტიკების ინიექციური მოხმარებლები (68.5% – 51.9%,  $p<0.0001$ ). უნივერსალური ხელმისაწვდომობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისში შიდსის მქონე პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი 36.8%–დან 50.7%–მდე ( $p<0.0001$ ). როგორც


მოსალოდნელი იყო ზრდა დაფიქსირდა არც მკურნალობზე მყოფი პაციენტების პროცენტული მაჩვენებლის კუთხითაც (42.5% vs. 55.1%,  $p < 0.0001$ ).

სიკვდილის 779 შემთხვევაში საშუალო დრო სიკვდილამდე იყო 6 თვე (IQR: 1-24). გარდაცვლილ პაციენტთა 23% მოკვდა აივ დიაგნოზის დასმიდან 1 თვის ფარგლებში, ხოლო 51% – გამოვლენიდან 6 თვის ფარგლებში. სიკვდილობის კუმულატიურმა მაჩვენებლმა შეადგინა 5.74 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95%CI: 5.34-6.16). ყველა მიზეზით სიკვდილობის პიკური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2004 წელს: 10.74 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 7.92-14.24) და სარწმუნოდ შემცირდა 4.02 შემთხვევამდე 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 3.28-4.87) 2012 წელს ( $p < 0.0001$ ) (დიაგრამა 5).

სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა პიკურ მაჩვენებლთან შედარებით პირველად დაფიქსირდა 2006 წელს - 6.99 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 5.28-9.08),  $p = 0.04$ , რომელიც შენარჩუნდა მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე. ამასთან, 2012 წელს დაფიქსირებული მაჩვენებელი სარწმუნოდ ნაკლები იყო არა მხოლოდ პიკურ მაჩვენებლებთან არამედ 2005-2008 წწ. დაფიქსირებულ მაჩვენებლებთან შედარებით.

**დიაგრამა 5. ყველა მიზეზით გამოწვეული სიკვდილობის მაჩვენებლები აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში**






სიკვდილის n:	48	52	56	74	84	78	94	103	104
პაციენტების n:	545	728	948	1215	1481	1778	2141	2465	2879

ასევე შეფასებულ იქნა შიდს-ასოცირებული, არა შიდს-ასოცირებული და დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული სიკვდილობის ტენდენციები. შიდს-ასოცირებული სიკვდილობის პიკური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2004 წელს - 6.49 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 4.34-9.32), რომელიც 3-ჯერ და მეტჯერ შემცირდა 2012 წლისათვის - 2.05 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI: 1.53-2.68) ( $p < 0.0001$ ) (დიაგრამა 6). ასევე სარწმუნოდ შემცირდა დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული სიკვდილობა, მაშინ როდესაც არა შიდს-ასოცირებული სიკვდილობა სტაბილური დარჩა დაკვირვების პერიოდის მანძილზე (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6. შიდს-ასოცირებული, არა შიდს-ასოცირებული და დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული საიკვდილობა აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში**



სიკვდილის:

შიდსი	29	30	29	41	47	41	48	51	53
არა-შიდსი	10	12	17	25	27	30	38	43	45
დაუდგენელი	9	10	10	8	10	7	8	9	6
პაციენტების n:	545	728	948	1215	1481	1778	2141	2465	2879

სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები შეფასებულ იქნა კოქსის (Cox) რეგრესიული მოდელის მეშვეობით. პირველ ეტაპზე განხორციელდა უნივარიაციული ანალიზი, რომელშიც აივ დიაგნოზის პერიოდის გარდა ყველა ცვლადი სარწმუნოდ იყო დაკავშირებული გამოსავალთან (ცხრილი 2). მულტივარიაციულ ანალიზში სიკვდილობის ყველაზე ძლიერი პრედიქტორი იყო შიდსის სტადია დიაგნოზის დასმის მომენტისათვის: ფარდობითი რისკი 5.69 (95% CI: 4.72-6.85,  $p < 0.0001$ ). თუკი უნივარიაციულ ანალიზში აივ დიაგნოზის პერიოდი არ იყო დაკავშირებული სიკვდილობასთან, ეს კავშირი სარწმუნო გახდა მულტივარიაციულ მოდელში: ფარდობითი რისკი 1.56 (95% CI: 1.30-1.86,  $p < 0.0001$ ). საპირსიპირო მოხდა სქესთან მიმართებაში, რომელმაც დაკარგა სარწმუნოება მულტივარიაციულ მოდელში, რაც სავარაუდოდ განპირობებულია სქესსა და აივ გადაცემის გზას შორის არსებული მნიშვნელოვანი კორელაციით. კერძოდ ნარკოტიკების

მოხმარებით დაინფიცირებული 1949 პირიდან 99% მამაკაცი იყო და როგორც ჩანს ეს სარისკო ქცევა უფრო ძლიერი რისკის ფაქტორი იყო ვიდრე სქესი და შესაბამისად შეინარჩუნა სტატისტიკური სარწმუნოება: ფარდობითი რისკი 1.47 (95% CI 1.20-1.80,  $p=0.0003$ ). ასაკის მატება ყოველი 1 წლით ასევე სარწმუნოდ იყო დაკავშირებული სიკვდილობასთან: ფარდობითი რისკი 1.03 (95% CI: 1.02-1.04,  $p<0.0001$ ) (ცხრილი 3).

**ცხრილი2. სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები: უნივარსიციული ანალიზი**

	ფარდობითი რისკი (95% CI)	<i>p</i> სიდიდე
ასაკი (ყოველი 1 წლის მატება)	1.05 (1.04-1.06)	<0.0001
<b>სქესი</b>		
კაცი	2.16 (1.77-2.63)	<0.0001
ქალი	1	
<b>აივ გადაცემის გზა</b>		
ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება	2.05 (1.75-2.39)	<0.0001
ყველა სხვა	1	
<b>აივ დიაგნოზის პერიოდი</b>		
არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე	1.10 (0.93-1.31)	0.27
არც უნივერსალური ხელმისაწვდომობის შემდეგ	1	
<b>დაავადების სტადია დიაგნოზისას</b>		
შიდსი	6.39 (5.33-7.66)	<0.0001
აივ ინფექცია	1	

**ცხრილი3. სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები: მულტივარსიციული ანალიზი**

	ფარდობითი	<i>p</i> სიდიდე
--	-----------	-----------------

	რისკი (95% CI)	
ასაკი (ყოველი 1 წლის მატება)	1.03 (1.02-1.04)	<0.0001
<b>სქესი</b>		
კაცი	1.18 (0.91-1.53)	0.23
ქალი	1	
<b>აივ გადაცემის გზა</b>		
ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება	1.47 (1.20-1.80)	0.0003
ყველა სხვა	1	
<b>აივ დიაგნოზის პერიოდი</b>		
არე უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე	1.56 (1.30-1.86)	<0.0001
არე უნივერსალური ხელმისაწვდომობის შემდეგ	1	
<b>დაავადების სტადია დიაგნოზისას</b>		
შიდსი	5.69 (4.72-6.85)	<0.0001
აივ ინფექცია	1	

## სიკვდილის მიზეზები

სიკვდილის წამყვანი მიზეზი იყო შიდსი – სიკვდილის 426 შემთხვევა (54.7%). სიკვდილის ყველაზე ხშირი არა-შიდს ასოცირებული მიზეზები იყო: ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტით განპირობებული ღვიძლის ტერმინალური დაავადება (n=118, 15.1%, მათ შორის 111 შემთხვევა HCV ინფექციის გამო) და არა შიდს ინდიკატორული ავთვისებიანი სიმსივნეები (n=40, 5.1%). მთლიანობაში, სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზი იყო ტუბერკულოზი, რომელზეც სიკვდილის ყველა შემთხვევის 21% მოდიოდა. 92 (11.8%) შემთხვევაში სიკვდილის მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა (ცხრილი 4).

## ცხრილი 4. სიკვდილის მიზეზები CoDe პროტოკოლის მიხედვით

	n	%
--	---	---


შიდსი	426	54.7
ინფექცია	10	1.3
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი	118	15.1
არა შიდს ინდიკატორული ავთვისებიანი სიმსივნეები	40	5.1
გულის იშემიური დაავადება	19	2.4
ინსულტი	17	2.2
გასტრო-ინტესტინური ჰემორაგია	6	0.8
ფილტვის არტერიის ემბოლიზმი	3	0.4
თირკმლის უკმარისობა	6	0.8
უბედური შემთხვევა	7	0.9
თვითმკვლელობა	6	0.8
წამალთდამოკიდებულება	16	2.1
ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება	3	0.4
გულის ან სისხლძარღვთა დაავადება	3	0.4
სასუნთქი სისტემის დაავადება	4	0.5
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადება	3	0.3
დაუდგენელი	92	11.8

შიდსთან ასოცირებული სიკვდილის 426 შემთხვევიდან უმეტესობა გამოწვეული იყო შიდსთან დაკავშირებული ოპორტუნისტული ინფექციებით, მათ შორის 166 (39.0%) შემთხვევა ტუბერკულოზის, 46 (10.8%) შემთხვევა პნევმოცისტური პნევმონიის, 35 (8.2%) შემთხვევა კრიპტოკოკული მენინგიტის გამო, და 32 (7.5%) შემთხვევა თავის ტვინის ტოქსოპლაზმოზის გამო. ასევე მნიშვნელოვანი იყო შიდს-ასოცირებული ავთვისებიანი სიმსივნეებით (n=40, 9.4%) და განლევის სინდრომით (n=27, 6.3%) გამოწვეული სიკვდილობა. 41 შემთხვევაში სიკვდილის მიზეზის შიდს-ასოცირებულად კლასიფიკაცია დაეყრდნო სიკვდილამდე 6 თვის ფარგლებში შიდს-ინდიკატორული დიაგნოზის ან CD4+ უჯრედების <200 უჯრედი/მმ<sup>3</sup> მაჩვენებლის არსებობას.

სიკვდილის მიზეზების პროცენტული განაწილება შეიცვალა დროთა განმავლობაში. არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით შემცირდა შიდს-ასოცირებული სიკვდილის მიზეზების ხვედრითი წილი 64.2%-დან 52.7%-მდე ( $p<0.02$ ). ამასთან გაიზარდა არა შიდს-ასოცირებული სიკვდილის მიზეზების ხვედრითი წილი 17.9%-დან 36.7%-მდე ( $p<0.0001$ ) და შემცირდა დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი 17.9%-დან 10.5%-მდე ( $p<0.02$ ).

სიკვდილის ცალკეული მიზეზების ანალიზმა პერიოდების მიხედვით აჩვენა, რომ ტუბერკულოზი რჩება სიკვდილის წამყვან მიზეზად და მისი ხვედრითი წილი სტაბილური იყო ორივე პერიოდში - 19.4% უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე და 21.7% უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდგომ ( $p=0.55$ ) (დიაგრამა 7). სტატისტიკურად სარწმუნოდ შემცირდა პნევმოცისტური პნევმონიით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი - 13.4%-დან 4.3%-მდე ( $p<0.0001$ ) დაშიდს ინდიკატორული ავთვისებიანი სიმსივნეებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი - 10.5%-დან 4.0%-მდე ( $p=0.008$ ). უნივერსალური ხელმისაწვდომობის პერიოდში სარწმუნოდ გაიზარდა ღვიძლის ტერმინალური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი - 8.9%-დან 16.4%-მდე ( $p=0.03$ ) და არა შიდს-ასოცირებული ავთვისებიანი სიმსივნეებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი - 0.7%-დან 6.1%-მდე ( $p=0.002$ ) (დიაგრამა 7).

**დიაგრამა 7. სიკვდილის მიზეზები არც მკურნალობის უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე და მის შემდეგ**



### აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობა და ვირუსული სუპრესია

აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის შეფასება განხორციელდა 2545

ზრდასრულ აივ/შიდსით ავადმყოფში, რომლებიც არსებული საინფორმაციო სისტემის მიხედვით ცოცხლები იყვნენ 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. საშუალო ასაკი იყო 35 წელი (IQR: 30-41) და 864 (25.6%) პაციენტი 30 წლამდე ასაკის იყო. უმრავლესობა მამაკაცი იყო– 1777 (69.8%) პაციენტი. მონაწილეთა დაახლოებით ნახევარი დაინფიცირდა ნარკოტიკების ინიექციური მოხმარებით (n=1297, 50.9%) (ცხრილი 5).

### ცხრილი 5. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის შემსწავლელ კვლევაში მონაწილეთა ძირითადი საწყისი მახასიათებლები

მახასიათებელი

n=2,545

ასაკი წლებში, მედიანა (ინტერვალი*)	35 (30-41)
<b>სქესი, n (%)</b>	
კაცი	1,777 (69.8)
ქალი	768 (30.2)
<b>აივ გადაცემის გზა, n (%)</b>	
ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება	1,297 (50.9)
ჰეტეროსექსუალური კავშირი	1,110 (43.6)
ჰომოსექსუალური კავშირი	107 (4.2)
სისხლის რეციპიენტი	10 (0.4)
დაუდგენელი	21 (0.8)


\*კვარტილთაშორისი ინტერვალი

საქართველოში აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი ნაჩვენებია დიაგრამა 8-ზე. სულ 2012 წლისათვის აივ ინფიცირებული პირების სავარაუდო რაოდენობა იყო 4900, მათგან მხოლოდ 52% იყო გამოვლენილი. გამოვლენილი 2545 პაციენტიდან 2135 (84%) ჩართული იქნა კლინიკურ სერვისებში. საშუალო დრო გამოვლენიდან კლინიკურ სერვისებში ჩართვამდე იყო 1 თვე (IQR: 0.5–3) და 76% ჩართულ იქნა გამოვლენიდან 3 თვის ფარგლებში. სულ 1847 აივ/შიდსით ავადმყოფი იქნა შენარჩუნებული მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე რაც შეადგენს აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვის 38%, გამოვლენილი შემთხვევების 73% და კლინიკურ სერვისებში ჩართული პაციენტების 87%-ს. არც მკურნალობისთვის მისაღები 1446 აივ/შიდსით ავადმყოფიდან 1273 (88%) იტარებდა ამ მკურნალობას და მათგან 985 (77%) პაციენტში მიღწეულ იქნა ვირუსული სუპრესია. იმ პაციენტებში, რომლებიც არც მკურნალობაზე იმყოფებოდნენ სულ ცოტა 6 თვის მანძილზე ვირუსული სუპრესიის მაჩვენებელმა შეადგინა 81%.

პოპულაციურ დონეზე აივ სუპრესიის მაჩვენებელმა შეადგინა 39% გამოვლენილ პაციენტებს შორის და 20% აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვიდან.




დიაგრამა 8. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი




გამოვლენილ შემთხვევებს შორის კლინიკურ სერვისებში ჩართულობა შეფასებულ იქნა აივ გადაცემის გზების და სქესის მიხედვით. ანალიზმა აჩვენა ჩართულობის უკეთესი მაჩვენებლები არა-ნარკომომხმარებელ პოპულაციებში ნარკომანებთან შედარებით: ჩართვა კლინიკურ სერვისებში 88% და 80%  $p < 0.0001$ , მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე შენარჩუნება 79% და 67%,  $p < 0.0001$ , არვ მკურნალობაზე ყოფნა 50% და 50%,  $p < 0.77$ , ვირუსული სუპრესია 42% და 36%,  $p < 0.003$  (დიაგრამა 9). ასევე უკეთესი ჩართულობა აჩვენეს ქალებმა კაცებთან შედარებით: ჩართვა კლინიკურ სერვისებში 89% და 82%,  $p < 0.0001$ , მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე შენარჩუნება 80% და 69%,  $p < 0.0001$ , არვ მკურნალობაზე ყოფნა 51% და 50%,  $p < 0.50$ , ვირუსული სუპრესია 42% და 37%,  $p = 0.02$  (დიაგრამა 10).

აივ/შიდსის კლინიკურ სერვისების სხვადასხვა ეტაპზე ვერ ჩართვასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების მულტივარიაციული შეფასება განხორციელდა შემდეგი ეტაპებისათვის: ჩართვა კლინიკურ სერვისებში, მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე შენარჩუნება და ვირუსული სუპრესია. სხვადასხვა პოპულაციების არც მკურნალობით მოცვის თანაბარი და მაღალი მაჩვენებლების გათვალსიწინებით არც მკურნალობის სტადიისათვის მულტივარიაციული ანალიზი არ ჩატარებულა.

**დიაგრამა9. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი აივ გადაცემის გზების მიხედვით**



**დიაგრამა10 აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი სქესის მიხედვით**



კლინიკურ სერვისებში ჩართვასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები თავდაპირველად შეფასებულ იქნა უნივარიაციულ ანალიზში, რომელშიც ნაჩვენებია იყო სამი ფაქტორის ზეგავლენა: მამრობითი სქესი, ნარკოტიკების მოხმარება და აივ დიაგნოზი არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე (1989-2004 წწ.) მულტივარიაციულ მოდელში სქესმა დაკარგა სტატისტიკური სარწმუნოება ხოლოდ დანარჩენმა ორმა ფაქტორმა შეინარჩუნა სარწმუნო კავშირი, ამასთან აივ დიაგნოზი არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე 2-ჯერ და მეტჯერ ზრდიდა ვერ ჩართვის რისკს: ფარდობითი რისკი 2.52 (95% CI: 2.10-3.02,  $p < 0.0001$ ) (ცხრილი 6).

ცხრილი 6. კლინიკურ სერვისებში ვერ ჩართვასთან დაკავშირებული ფაქტორები

	უნივარიაციული ანალიზი		მულტივარიაციული ანალიზი	
	ფარდობითი რისკი (95% CI)	p სიდიდე	ფარდობითი რისკი (95% CI)	p სიდიდე
<b>ასაკი</b>				
<30	0.96 (0.79-1.18)	0.73	0.95 (0.77-1.16)	0.59
≥30	1		1	
<b>სქესი</b>				
კაცი	1.68 (1.34-2.10)	<0.0001	1.20 (0.89-1.61)	0.23
ქალი	1		1	
<b>აივ გადაცემის გზა</b>				
ნარკოტიკების მოხმარება	1.74 (1.44-2.10)	<0.0001	1.39 (1.09-1.77)	0.009
ყველა სხვა	1		1	
<b>აივ დიაგნოზის პერიოდი</b>				
1989-2004	2.68 (2.25-3.19)	<0.0001	2.52 (2.10-3.02)	<0.0001
2005-2012	1		1	

მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე შენარჩუნებასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების შეფასებისას გამოყენებულ იქნა დამატებითი ცვლადი საწყისი იმუნური სტატუსი CD4+ უჯრედების მაჩვენებელი სახით. მულტივარიაციულ ანალიზში კლინიკური მეთვალყურეობიდან დაკარგვასთან დაკავშირებული ფაქტორები იყო CD4+ უჯრედების მაჩვენებელი >350-ზე - ფარდობითი რისკი 2.17 (95% CI: 1.72-2.73,  $p<0.0001$ ), აივ დიაგნოზი არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე - ფარდობითი რისკი 2.08 (95% CI: 1.63-2.66,  $p<0.0001$ ) და ნარკოტიკების მოხმარება როგორც აივ გადაცემის გზა - ფარდობითი რისკი 1.35 (95% CI: 1.01-1.82,  $p=0.04$ ) (ცხრილი 7).

#### ცხრილი 7. მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე ვერ შენარჩუნებასთან დაკავშირებული ფაქტორები

უნივარიაციული ანალიზი	მულტივარიაციული ანალიზი
-----------------------	-------------------------

	ფარდობითი		ფარდობითი	
	რისკი (95% CI)	<i>p</i> სიდიდე	რისკი (95% CI)	<i>p</i> სიდიდე
<b>ასაკი</b>				
<30	0.99 (0.85-1.14)	0.84	0.88 (0.69-1.13)	0.32
≥30	1		1	
<b>სქესი</b>				
კაცი	1.51 (1.29-1.77)	<0.0001	1.12 (0.79-1.57)	0.52
ქალი	1		1	
<b>აივ გადაცემის გზა</b>				
ნარკოტიკების მოხმარება	1.57 (1.38-1.79)	<0.0001	1.35 (1.01-1.82)	0.04
ყველა სხვა	1		1	
<b>აივ დიაგნოზის პერიოდი</b>				
1989-2004	2.44 (2.17-2.75)	<0.0001	2.08 (1.63-2.66)	<0.0001
2005-2012	1		1	
<b>საწყისი CD4+ მაჩვენებელი</b>				
≥350 უჯრედი/მმ <sup>3</sup>	2.46 (1.99-3.04)	<0.0001	2.17 (1.72-2.73)	<0.0001
<350 უჯრედი/მმ <sup>3</sup>	1		1	

ვირუსულ სუპრესიასთან დაკავშირებული ფაქტორების მულტივარიაციულ ანალიზში შეფასებისას ნაჩვენებია იყო, რომ ისევე როგორც წინამორბედ ეტაპზე, ნარკოტიკების მოხმარება სარწმუნოდ იყო დაკავშირებული უარყოფით გამოსავალთან - ფარდობითი რისკი 1.84 (95% CI: 1.34-2.53,  $p=0.0002$ ). თუკი CD4+ უჯრედების მაღალი საწყისი მაჩვენებელი უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მუდმივ კლინიკურ მეთვლყურეობაზე შენარჩუნებაზე, იგივე პარამეტრი ვირუსული სუპრესიის ხელშემწყობი ფაქტორი გამოდგა - ფარდობითი რისკი 0.66 (95% CI: 0.45-0.96,  $p=0.03$ ) (ცხრილი 8).

აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის შეფასებისას კავშირი ასაკსა და ჩართულობას შორის არცერთ ეტაპზე არ გამოვლინდა (ცხრილები 6-8).

**ცხრილი 8. ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები**

ასაკი	უნივარიაციული ანალიზი		მულტივარიაციული ანალიზი	
	ფარდობითი რისკი (95% CI)	<i>p</i> სიდიდე	ფარდობითი რისკი (95% CI)	<i>p</i> სიდიდე
<b>ასაკი</b>				
<30	0.93 (0.72-1.19)	0.55	1.09 (0.85-1.41)	0.49
≥30	1		1	
<b>სქესი</b>				
კაცი	1.33 (1.05-1.69)	0.02	0.83 (0.58-1.18)	0.31
ქალი	1		1	
<b>აივ გადაცემის გზა</b>				
ნარკოტიკების მოხმარება	1.62 (1.31-2.01)	<0.0001	1.84 (1.34-2.53)	0.0002
ყველა სხვა	1		1	
<b>აივ დიაგნოზის პერიოდი</b>				
1989-2004	0.68 (0.48-0.98)	0.04	0.77 (0.53-1.13)	0.18
2005-2012	1		1	
<b>საწყისი CD4+ მაჩვენებელი</b>				
≥350 უჯრედი/მმ <sup>3</sup>	0.58 (0.40-0.85)	0.005	0.66 (0.45-0.96)	0.03
<350 უჯრედი/მმ <sup>3</sup>	1		1	

**ვირუსოლოგიური გამოსავალი მე-2 რიგის არვ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში**

მე-2 რიგის არვ მკურნალობის ვირუსოლოგიური გამოსავლები შეფასებულ იქნა 84 ზრდასრულ აივ/შიდსით ავადმყოფში, რომელთაც აღენიშნათ ვირუსოლოგიური

უშედეგობა და რეზისტენტობის ტესტით გამოუვლიდნათ აივ რეზისტენტული შტამები. კვლევაში ჩართული პაციენტების უმრავლესობა (71.4%) მამაკაცი იყო და 62% დაინფიცირდა ნარკოტიკების ინიექციური მოხმარებისგზით (ცხრილი 9). პაციენტების ნახევარზე ოდნავ მეტს (53.6%) ჰქონდა ანტისხეულები C ჰეპატიტის ვირუსის მიმართ და 41.7%-ს ოდესმე ჰქონია ტუბერკულოზი.

არც პირველი რიგის მკურნალობაზე ვირუსოლოგიური უშედეგობის მომენტისათვის ყველა პაციენტი ღებულობდა ანტი-შემცველ მკურნალობას. 77%-ში ანტი წარმოდგენილი იყო ეფავირენზის სახით. ყველაზე ხშირ ნრტი კომპონენტი იყო ზიდოვუდინისა და ლამივუდინის კომბინაცია (63.1%) (ცხრილი 10). დრომ არც მკურნალობის დაწყებიდან ვირუსოლოგიური უშედეგობის განვითარებამდე საშუალოდ შეადგინა 18 თვე (IQR: 12-34). ვირუსოლოგიურ უშედეგობამდე 6-თვიანი დამყოლობის საშუალო მაჩვენებელი იყო 75% და პაციენტების 30.9%-მა აჩვენა 100%-იანი დამყოლობა. პაციენტების 86% ჰქონდა არც მედიაკმენტების ორი კლასისადმი (ნრტი + ანრტი) რეზისტენტული ვირუსი. რეზისტენტული მუტაციების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 2 (IQR: 1-4) (ცხრილი 10).

აივ წამლებისადმი რეზისტენტობის დადასტურების შემდეგ ყველა პაციენტი გადაყვანილ იქნა პროტეაზას ინჰიბიტორების შემცველ არც რეჟიმზე, მათ შორის 61 (73.8%) პაციენტმა დაიწყო ლოპინავირ/რიტონავირის შემცველი კომბინაციის მიღება, ხოლო 22 (26.2%) პაციენტი კი ატაზანავირ/რიტონავირის შემცველ კომბინაციაზე იქნა გადაყვანილი.

### **ცხრილი 9. პაციენტების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები ვირუსოლოგიური უშედეგების მომენტისათვის**

<b>მახასიათებელი</b>	<b>n = 84</b>
ასაკი წლებში, მედიანა (ინტერვალი*)	37 (34-44)
სქესი, n (%)	

კაცი	60 (71.4)
ქალი	24 (28.6)
<b>აივ გადაცემის გზა, n (%)</b>	
ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება	52 (61.9)
ჰეტეროსექსუალური კავშირი	28 (33.3)
ჰომოსექსუალური კავშირი	2 (2.4)
სისხლის რეციპიენტი	2 (2.4)

\*კვარტილთაშორისი ინტერვალი

არვ მკურნალობის რეჟიმის შეცვლის შემდეგ პაციენტებს აკვირდებოდნენ საშუალოდ 27 თვის მანძილზე (IQR: 13–41). აღნიშნული პერიოდის მანძილზე 9 (10.7%) პაციენტი გადრაცივალა მკურნალობის შეცვლიდან საშუალოდ 6 თვეში 6 (IQR: 2–8), 4 მათგანი დაკვირვების პირველი 6 თვის ფარგლებში დაიღუპა.

80 პაციენტში, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მკურნალობის შეცვლიდან სულ ცოტა 6 თვის თავზე, 72 (90%) პაციენტმა მიაღწია ვირუსულ სუპრესიას მკურნალობის შეცვლიდან საშუალოდ 7 თვეში (IQR: 5–10). მკურნალობის შეცვლიდან 6-თვიანი დამყოლობის საშუალო მაჩვენებელი იყო 81%, ხოლო პაციენტების 47.5%-მა აჩვენება 100%-იანი დამყოლობა. პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც მიაღწიეს ვირუსულ სუპრესიას მერე რიგის მკურნალობის მე-6, 12-2, 24-ე და 36-ე თვეებზე არ განსხვავდებოდა სარწმუნოდ და მერყეობდა 79-83% ინტერვალში (დიაგრამა 11). მსგავსი შედეგები იქნა ნაჩვენებელი ნარკოტიკების მომხარებლებში, რომლებშიც ვირუსული სუპრესიის მაჩვენებლები დროის სხვადასხვა მონაკვეთზე მერყეობდა 75-83%-ის ფარგლებში. დაკვირვების პერიოდში 5 პაციენტს განუვითარდა ვირუსოლოგიური უშედეგობა და ჩაუტარდათ აივ რეზისტენტობის ტესტი, ვერცერთ მათგანში ვერ იქნა აღმოჩენილი პროტეაზას ინჰიბიტორებისადმი რეზისტენტული ვირუსის შტამები.

**ცხრილი 10. პაციენტების კლინიკური მახასიათებლები ვირუსოლოგიური უშედეგების მომენტისათვის**



მახასიათებელი

n = 84

არგ რეჟიმი უშედეგობისას უშედეგობისას, n (%)

ზიდოვუდინი + ლამივუდინი + ეფავირენზი	39 (46.4)
ზიდოვუდინი + ლამივუდინი + ნევირაპინი	14 (16.7)
აბაკავირი + ლამივუდინი + ეფავირენზი	17 (20.2)
აბაკავირი + ლამივუდინი + ნევირაპინი	3 (3.6)
სტავუდინი + ლამივუდინი + ეფავირენზი	7 (8.3)
სტავუდინი + ლამივუდინი + ნევირაპინი	2 (2.4)
ტენოფოვირი + ემტრიციტაბინი + ეფავირენზი	2 (2.4)

6-თვიანი დამყოლობა ვირუსოლოგიურ უშედეგობამდე, n (%)

<80%	36 (42.9)
80- < 100%	22 (26.2)
100%	26 (30.9)

დრო თვეებში ვირუსოლოგიურ უშედეგობამდე, მედიანა (ინტერვალი)\*

ვირუსული დატვირთვა ვირუსოლოგიური უშედეგობის

მომენტისათვის, მედიანა (ინტერვალი)\*


რეზისტენტული მუტაციების რიცხვი, მედიანა (ინტერვალი)

რეზისტენტობის პროფილი არგ კლასის მიხედვით, n (%)

ერთი კლასი (ნრტი ან ანრტი)	12 (14.3)
ორი კლასი (ნრტი + ანრტი)	72 (85.7)

\*კვარტილთაშორისი ინტერვალი

**დიაგრამა 11. პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც მიაღწიეს ვირუსულ სუპრესიას მე-2 რიგის არგ მკურნალობის დაწყების შემდეგ**



მკურნალობის რეჟიმის შეცვლიდან 6 თვეზე ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები შესწავლილ იქნა პუასონის რეგრესიული მოდელის მეშვეობით. 6 თვე შერჩეულ იქნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შეფასების ამ მომენტისათვის დაკვირვებაზე იმყოფება პაციენტების მაქსიმალური რაოდენობა - 80 პაციენტი. უნივარიაციულ ანალიზში გაოსავალთან სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო დაკავშირებული ორი ცვლადი: დამყოლობა <80% მკურნალობის რეჟიმის შეცვლის შემდეგ - ფარდობითი რისკი 5.01 (95% CI: 1.80-13.87,  $p=0.002$ ) და მაღალი ვირუსული დატვირთვა ვირუსოლოგიური უშედეგობისას - ფარდობითი რისკი 3.16 (95% CI: 1.40-7.12,  $p=0.006$ ) (ცხრილი 11).

მულტივარიაციული ანალიზში საბოლოო მოდელში შენარჩუნებულ იქნა შემდეგი ცვლადები: სქესი, აივ გადაცემის გზა, ვირუსული დატვირთვის მაჩვენებელი ვირუსოლოგიური უშედეგობისას და 6-თვიანი დამყოლობა არც რეჟიმის შეცვლის შემდეგ. ისევე როგორც უნივარიაციულ ანალიზში ეს უკანსკნელი 2 ცვლადი სარწმუნოდ იყო

დაკავშირებული ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან მულტივარიაციულ მოდელში; დამყოლობა <80% - ფარდობითი რისკი 5.09 (95% CI: 1.89-13.70,  $p=0.001$ ), ვირუსული დატვირთვა  $\geq 100\ 000$  ასლი/მლ 3.39 (95% CI: 1.46-7.89,  $p=0.005$ ) (ცხრილი 12).

**ცხრილი 11. არე მკურნალობის რეჟიმის შეცვლიდან 6 თვის თავზე ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები: უნივარიაციული ანალიზი**

	ფარდობითი რისკი (95% CI)	<i>p</i> -ტიდიდე
<b>ასაკი</b>		
<37 წელი	0.90 (0.38-2.12)	0.81
$\geq 37$ წელი	1	
<b>სქესი</b>		
კაცი	1.31 (0.48-3.60)	0.60
ქალი	1	
<b>აივგადაცემის გზა</b>		
ნარკოტიკების ინექციური მოხმარება	1.52 (0.59-3.89)	0.38
ყველასხვა	1	
<b>აივირუსული დატვირთვა უმედეგობისას</b>		
$\geq 100,000$	3.16 (1.40-7.12)	0.006
<100,000	1	
<b>მეორე რიგის არე რეჟიმი</b>		
ატანავირის შემცველი	0.92 (0.34-2.51)	0.88
ლოპინავირის შემცველი	1	
<b>6-თვიანი დამყოლობა რეჟიმის ცვლილების შემდეგ</b>		
<80%	5.01 (1.80-13.87)	0.002
80- <100%	1.24 (0.30-5.05)	0.76

	ფარდობითი რისკი	
	(95% CI)	p-სიდიდე
100%	1	
<b>რეზისტენტული მუტაციების რაოდენობა</b>		
>2 მუტაცია	0.60 (0.19-1.89)	0.38
≤2 მუტაცია	1	
<b>რეზისტენტობის პროფილი არგვლის მიხედვით</b>		
ერთი კლასი (ნრტი+ანრტი)	1.34 (0.46-3.93)	0.59
ორი კლასი (ნრტი+ანრტი)	1	

ცხრილი 12. არგ მკურნალობის რეჟიმის შეცვლიდან 6 თვის თავზე ვირუსული სურპესიის ვერ მიღწევასთან დაკავშირებული ფაქტორები: მულტივარიაციული ანალიზი

	ფარდობითი რისკი	
	(95% CI)	p-სიდიდე

<b>სქესი</b>		
კაცი	0.50 (0.17-1.45)	0.20
ქალი	1	
<b>აივგადაცემისგზა</b>		
ნარკოტიკებისინიექციურიმოხმარება	1.34 (0.64-2.83)	0.44
ყველასხვა	1	
<b>აივვირუსულიდატვირთვაუშედეგობისას</b>		
≥100,000	3.39 (1.46-7.89)	0.005
<100,000	1	
<b>6-თვიანიდამყოლობარეჟიმისცვლილებისშემდეგ</b>		
<80%	5.09 (1.89-13.70)	0.001
80-<100%	1.48 (0.36-6.12)	0.58
100%	1	

## განხილვა

ჩვენს მიერ პირველად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში პოპულაციურ დონეზე იქნა შესწავლილი სიკვდილობა, სიკვდილის მიზეზები და დაკავშირებული რისკის ფაქტორები აივ/შიდსით ავადმყოფებში. კვლევამ მოიცვა აივ/შიდსის ყველა გამოვლენილი შემთხვევა, რითაც ის უნიკალურია ამ ტიპის კვლევებს შორის.

კვლევაში ნაჩვენებია იყო სიკვდილობის პროგრესული და სარწმუნო შემცირება მას შემდეგ რაც ქვეყანამ უზრუნველყო არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა 2004 წელს. სიკვდილობის მაჩვენებელი 2004 წელს იყო 10.74 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში, რომელიც 2012 წლისათვის შემცირდა 4.02 შემთხვევამდე ყოველ 100 პაციენტზე წელიწადში ( $p < 0.0001$ ). საქართველო რჩება ერთადერთ ქვეყანად აღმოსავლეთ ევროპაში, რომელმაც უზრუნველყო არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა<sup>55</sup> და კვლევაში ნაჩვენებია შედეგები ამ მიღწევის ნათელი დადასტურებაა.

სიკვდილობის შემცირების მიუხედავად საქართველოში დაფიქსირებული მაჩვენებლები უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.<sup>50-53</sup> ჩვენი კვლევის მსგავსად, EuroSIDA-ს ფარგლებში ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ სიკვდილობის მაჩვენებელი უფრო მაღალია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ვიდრე დასავლეთ ევროპაში.<sup>53</sup> აღნიშნული რეგიონული სხვაობა სავარაუდოდ განპირობებულია ჯანდაცვის სისტემებსა და ინფრასტრუქტურაში არსებული განსხვავებებით, ასევე მნიშვნელოვანია უშუალოდ პაციენტთა მახასიათებლების გათვალისწინება (მაგალითისთვის საქართველოში ხშირია კოინფექციები ტუბერკულოზთან და ვირუსულ ჰეპატიტიტთან, და საკმაოდ მაღალია გვიანი გამოვლენის მაჩვენებლები).<sup>53-58</sup> ყურადსაღებია, რომ ზემოაღნიშნულ EuroSIDA ნაშრომში სიკვდილობის მაჩვენებელი აღმოსავლეთ ევროპაში (არ მოიცავდა საქართველოს მონაცემებს) 2002-2011 წწ. ყოველ 100 პაციენტზე წელიწადში 2.5 შემთხვევაზე ნაკლები იყო, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენს კვლევაში ნაჩვენებ სიკვდილობის საერთო მაჩვენებელზე - 5.74 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში და 2012 წელს ნაჩვენებ ყველა დაბალ მაჩვენებელზეც კი - 4.02 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში. სავარაუდოდ ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ EuroSIDA-ს ფარგლებში მონაცემთა შეგროვება ხდება ცალკეული ქვეყნების საუკეთესო კლინიკური ცენტრებიდან, რაც შესაბამისი ქვეყნებში არსებული მდგომარეობის რეპრეზენტატიული ვერ იქნება. შესაბამისად EuroSIDA

შესაძლოა ვერ ასახავდეს სიკვდილობის ჭეშმარიტ სურათს ჩვენს რეგიონში.<sup>59</sup> ჩვენს მიერ წარმოდგენილი ანალიზი უფრო ზუსტად ასახავს სიტუაციას ეროვნულ დონეზე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს საქართველოში აივ გვიანი დიაგნოსტიკის და მასთან დაკავშირებული სიკვდილობის პრობლემას. წარმოდგენილ კვლევებში აივ დაიგნოზის დასმის მომენტისათვის პაციენტების 48%–ს უკვე ჰქონდა შიდა და სიკვდილის შემთხვევების 51% დაფიქსირდა დიაგნოზის დასმიდან 6 თვეში. სხვა კვლევების მსგავსად,<sup>60-62</sup> გვიანი დიაგნოსტიკა ჩვენს კვლევაში სიკვდილის ყველაზე ძლიერი პრედიქტორი იყო - ფარდობითი რისკი 5.69 (95% CI: 4.72-6.85,  $p < 0.0001$ ). ეს შედეგი მიუთითებს, რომ ქვეყნაში საჩქაროდაა გადასაჭრელი გვიანი გამოვლენის პრობლემა აივ/შიდაზე გამოკვლევის პროგრამების მნიშვნელოვანი გაფართოების გზით.

ჩვენს კოჰორტაში მონაწილე პირების ნახევარზე მეტი დაინფიცირდა ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების გზით და სხვა კვლევების მსგავსად<sup>63,64</sup> ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ნარკოტიკების მოხმარება სარწმუნოდაა დაკავშირებული სიკვდილობასთან - ფარდობითი რისკი 1.47 (95% CI 1.20-1.80,  $p = 0.0003$ ). ამასთან ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ხარსიხიან სერვისებზე თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ეს სხვაობა ქრება. მაგალითად კანადელმა მკვლევარებმა აჩვენეს, რომ არც მკურნალობაზე მყოფ ნარკოტიკების მოხმარებლებსა და არა-მომხმარებლებს შორის სხვაობა გადარჩენის თვალსაზრისით არ იყო.<sup>65</sup> აგრეთვე აღწერილია შემთხვევები, როდესაც ექიმები უარს ამბობენ მკურნალობის დაწყებაზე ნარკოტიკების მოხმარებლებში დამყოლობასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების გამო.<sup>66</sup> საქართველოში ყველა პაციენტს აქვს თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობა არც მკურნალობაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარდგენილი ქვეყნის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით 2012 წელს CD4 უჯრედების  $< 200$  მაჩვენებლის მქონე ნარკოტიკების მოხმარებლების 98% ლეპულობდა არც მკურნალობას.<sup>67</sup> წარმოდგენილ კვლევაში ნარკოტიკების მოხმარებლების 52% და არა

მომხმარებლების 53% იმყოფებოდა არც მკურნალობაზე ( $p=0.18$ ). ამგვარად ჩვენს კვლევაში ნაჩვენები სიკვდილობის უფრო მაღალი მაჩვენებლები ნარკოტიკების მომხმარებლებში არ უკავშირდება არც მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის საკითხს, არამედ დაავადების უფრო გვიან სტადიებზე გამოვლენის შედეგია. თუ გავითვალსწინებთ ამ პოპულაციის აივ/შიდსზე გამოკვლევებით ძალიან დაბალ მოცვას,<sup>68</sup> მაშინ გასაკვირავ არ იქნება, რომ გვიანი დიაგნოსტიკის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო ნარკოტიკების მოხმარებლებში (55% და 40%,  $p<0.0001$ ). ამასთან ნარკოტიკების მომხმარებლებში უფრო მაღალი იყო კო-ინფექციების სიხშირე დანარჩენ პოპულაციასთან შედარებით, მათ შორის ტუბერკულოზით კო-ინფექცია (27.9% და 13.5%,  $p<0.0001$ ) და C ჰეპატიტით კოინფექცია (68.6% და 21.4%,  $p<0.0001$ ).

ჩვენი კვლევის შედეგები ეთანხმება საშუალო და მაღალი შემოსავლების ქვეყნებიდან გამოქვეყნებულ შრომებს, რომლებშიც ნაჩვენები იყო შიდსთან დაკავშირებული სიკვდილობის სარწმუნო შემცირება და არა შიდს ასოცირებული სიკვდილის მიზეზების მატება.<sup>69-75</sup> აღნიშნული შრომების მსგავსად ჩვენს კვლევაშიც დაფიქსირდა ღვიძლის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის მატება, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო C ჰეპატიტით. 2011 წელს საქართველოში დაიწყო აივ/შიდსით ავადმყოფებში C ჰეპატიტის უფასო მკურნალობის პროგრამა პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაციით. მნიშვნელოვანია ამ პროგრამის შენარჩუნება და დამატებით ხელმისაწვდომობის გაზრდა C ჰეპატიტის სამკურნალო პირდაპირი მოქმედების ანტივირუსულ პრეპარატებზე, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ღვიძლის დაავადებებთან დაკავშირებული სიკვდილობა. კვლევამ ასევე აჩვენა არა შიდს ასოცირებული ავთვისებიანი სიმსივნეებით გამოწვეული სიკვდილობის მატება. თითქმის 5-ჯერ გაიზარდა გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების ხვედრითი წილი, თუმცა მატება არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო. ეს შედეგები მიუთითებენ აივ დაავადების მულტიდისციპლინური მართვის გაძლიერების საჭიროებაზე. დაუდგენელი მიზეზებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები



პროგრესულად მცირდება, რაც სავარაუდოდ განპირობებულია აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის პროგრამის შესაძლებლობების გაძლიერებით, მათ შორის დიაგნოსტიკური და მონაცემთა მართვის შესაძლებლობების კუთხით.

პერიოდებს შორის შედარებამ გვაჩვენა პნევმოცისტური პნევმონიითა და შიდს-ინდიკატორული სიმსივნეებით გამოწვეული სიკვდილობის სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება, მაგრამ მიუხედავად ამისა არც უნივერსალური ხელმისაწვდომობის პერიოდშიც კი სიკვდილის შემთხვევების ნახევარზე ოდნავ მეტი გამოწვეული იყო შიდსით. ამასთან მიმართებაში განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების სტაბილურად მაღალი მაჩვენებელი. ტუბერკულოზზე სიკვდილის შემთხვევების 21% მოდიოდა და აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიუხედავად ტუბერკულოზი სიკვდილის წამყვანი მიზეზი იყო დაკვირვების პერიოდის ყველა მონაკვეთში.

ჩვენი კვლევა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს თუ როგორ უარყოფით ეფექტს ახდენს ტუბერკულოზი აივ/შიდსის გამოსავლებზე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. მსოფლიოში არსებული მონაცემების სისტემურმა შეფასებამ აჩვენა, რომაივ/შიდსით ავადმყოფებში ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილობის კუთხით აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი მეორე ადგილზეა მსოფლიოში.<sup>76</sup> აივ/ტუბერკულოზის კოინფექციის გამოსავლების მულტინაციონალურმა შეფასებამ აჩვენა სიკვდილის რისკის 5-ჯერადი ზრდა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კონტინენტის დასავლეთ ნაწილთან შედარებით.<sup>77</sup> ტუბერკულოზით გამოწვეული მაღალი სიკვდილობა აივ/შიდსით ავადმყოფებში სავარაუდოდ განპირობებულია ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის გვიანი დიაგნოსტიკით და რეგიონში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი გავრცელებით. მაგალითისათვის, მსოფლიოში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი ტვირთვის მქონე 27 ქვეყნიდან 14 ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაა, მათ შორის საქართველოც.<sup>78</sup>

საქართველოში ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 11% და ნამკურნალები შემთხვევების 38% მულტირეზისტენტული შტამებითაა დაინფიცირებული, რაც ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის გვიან დიაგნოსტიკასთან ერთად ხელს უწყობს სიკვდილობის მატებას.<sup>58,78,79</sup> ჩვენი შრომა მიუთითებს, რომ აივ/ტუბერკულოზის არასახარბიელო გამოსავლები საქართველოში საჭიროებს ფართო სისტემური ხასიათის საპასუხო ღონისძიებების გატარებას.

სიკვდილობის შეფასების კუთხით კვლევის მთავარი შეზღუდვაა სიკვდილის შემთხვევების აღრიცხვიანობის პრობლემა დაკარგულ პაციენტებში. პაციენტებზე დაკვირვების და მათი კლინიკურ სერვისებში შენარჩუნებაზე ორიენტირებული ეფექტური მექანიზმების მიუხედავად გამოსავლის დადგენა ვერ მოხერხდა კვლევაში ჩართული პაციენტების 11%-ში. რამოდენიმე წლის წინ ჩატარებულმა სისტემურმა მიმოხილვამ, რომელმაც ძირითადად მოიცვა აფრიკასა და აზიაში ჩატარებული კვლევები, აჩვენა, რომ დაკარგულ პაციენტებში სიკვდილობის მაჩვენებელი შესაძლოა მერყეობდეს 9- 50%-ის ფარგლებში.<sup>80</sup> დასაშვებია ვარაუდი, რომ ჩვენს კვლევაში დაკარგული პაციენტების ნაწილი გადრაცივალა, რაც ვერ იქნა ასახული ანალიზში და შესაბამისად სიკვდილობის მაჩვენებელი შესაძლოა უფრო მაღალი ყოფილიყო. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩვენს კოჰორტაში დაკარგული პაციენტების მაჩვენებელი უარეს შემთხვევაში მსგავსია და უმრავლეს შემთხვევაში უკეთესია სხვა კვლევებში ნაჩვენები შედეგებისა.<sup>59</sup> შესაბამისად აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად ჩვენი კვლევა იძლევა სიკვდილობისა და სიკვდილის მიზეზების სადღეისოდ ყველაზე სრულყოფილ სურათს.

ჩვენს მიერ ჩატარებული აივ/შიდსის სერვისებში ჩართულობის ანალიზი პიონერულია რეგიონულ დონეზე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია წარმოდგენილი შრომის გამოქვეყნებამდე აივ/შიდსის კლინიკური სერვისების კასკადის ანალიზი ეროვნულ დონეზე მხოლოდ აშშ-ს ჰქონდა გამოქვეყნებული.<sup>81,82</sup>

ჩვენი ანალიზი აჩვენებს, რომ გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფები წარმატებულად არიან ჩართულები აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში. ყველაზე სერიოზული პრობლემა აივ/შიდსით ავადმყოფების გამოვლენაა. აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვის მხოლოდ ნახევარი იქნა გამოვლენილი ქვეყანაში, რაც უარყოფითად აისახება დანარჩენ ეტაპებზე. ჩვენი ანალიზი მიუთითებს, რომ კვლევის ჩატარების პერიოდისთვის ქვეყანაში მცხოვრები 4900 სავარაუდო აივ/შიდსით ავადმყოფიდან 3053 არ იყო მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე, მათგან 2355 (77%) არიან ის პირები რომელთაც ჯერ არ დაესვათ აივ დიაგნოზი. ასევე გამოუვლენელი აივ/შიდსით ავადმყოფები განსაზღვრადი ვირუსული დატვირთვის მქონე პაციენტების 60% შეადგენდნენ. აღნიშნულ გარემოება სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალურ, ისე პოპულაციურ დონეზე. როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაგვიანებები აივ/შიდსის გამოვლენის კუთხით ხელს უწყობს გვიან დიაგნოსტიკას, რაც ზრდის სიკვდილობის რისკს,<sup>60-62</sup> მეორეს მხრივ აივ/შიდსით ავადმყოფები, რომლებმაც არ იციან თავიანთი სტატუსის შესახებ განაგრძობენ სარიკსო ქცევებს და ავრცელებენ ინფექციას.<sup>83,84</sup>

გამოუვლენელი აივ ინფექცია პრობლემატურია მსოფლიო ყველა კუთხეში და ამ პოპულაციის მოცულობა მერყეობს 20%-დან აშშ-ში 60%-მდე სუბ-საჰარულ აფრიკაში.<sup>81,82,85,86</sup> საქართველოში აივ/შიდსზე გამოვლენის ეტაპზე არსებული ნაკლოვანების მთავარი მიზეზია მაღალი რისკის ჯგუფების აივ-ზე ტესტირებით მოცვის დაბალი მაჩვენებელი და ჯანდაცვის სექტორში ტესტირების არასკამრისი განვრცობა.<sup>68,87,88</sup> გამოუვლენელი შემთხვევების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის საჭიროა აივ-ზე ტესტირების მნიშვნელოვანი გაფართოება, მათ შორის როგორც უშუალოდ თემებში ისე ჯანდაცვის სექტორში.<sup>89,90</sup>

წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ აივ/შიდსის პროგრამის ქართული მოდელი ეფექტურად უზრუნველყოფს პაციენტების ჩართულობას კლინიკურ სერვისებში. ჩვენი ანალიზის მიხედვით გამოვლენილი პაციენტების 84% ჩართულია კლინიკურ სერვისებში

და 73% იმყოფება მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე. განვითარებული ქვეყნების მონაცემებით კლინიკურ სერვისებში გამოვლენილ პაციენტთა 50-75% შენარჩუნება ხერხდება,<sup>81,82,91</sup> ხოლო შეზღუდული რესურსების ქვეყნებში შენარჩუნების მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლებია.<sup>86,92,93</sup> აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებში მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე შენარჩუნების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: ესტონეთი - 38%, რუსეთი - 71%, ლუჰანსკის რეგიონი უკრაინაში - 60%.<sup>94-96</sup>

პოპულაციის დონეზე საქართველში ნაჩვენები ვირუსული სუპრესიის მაჩვენებელი ჩრდილოეთ ამერიკის მაჩვენებლების მსგავსია<sup>81,82</sup> და ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. ასე მაგალითად საქართველოში ვირუსული სუპრესია მიღწეულ იქნა ყველა გამოვლენილი შემთხვევის 39%-ში, ანალოგიურმა მაჩვენებელმა ესტონეთში შეადგინა 22%, რუსეთში - 18% და ლუჰანსკში - 20%.<sup>94-96</sup>

ჩატარებულმა კვლევამწარმატებულთან ერთად გამოწვევებიც გამოავლინა. აივ დიაგნოზის შემდგომ პაციენტების წარმატებული ჩართულობის მიუხედავად, პაციენტთა მცირე მოცულობით დაკარგვა სერვისების ყველა ეტაპზე ხდება, შედეგად მკურნალობისთვის მისაღები პაციენტების 30% არ არის სუპრესირებული. პოპულაციის დონეზე ვირუსული სუპრესიის მქონე პაციენტების მნიშვნელოვანი მატება შესაძლებელია კლინიკურ სერვისებში ჩართულობის მნიშვნელოვანი გაზრდით ერთდროულად ყველა ეტაპზე - დაწყებული აივ გამოვლენის ეტაპიდან. გარდნერის და თანაავტორების გათვლებით მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა შესაძლებელია თუკი ჩართულობა ყველა ეტაპზე იქნება 90%.<sup>81</sup>

აშშ-ში ახალახან გამოქვეყნებული მონაცემების მსგავსად, საქართველოშიც ნარკოტიკების მოხმარებლები ნაკლებად იყვნენ ჩართულნი კლინიკურ სერვისებში არამოხმარებლებთან შედარებით.<sup>97</sup> თუმცა მეორეს მხრივ საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებლების ორი მესამედი იქნა შენარჩუნებული მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე, ხოლო ვირუსული

სუპრესიის მაჩვენებელმა არც მკურნალობაზე მყოფ ნარკოტიკების მომხმარებლებში შეადგინა 72%. ეს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია და იმის შედეგია, რომ ქვეყანაში აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის მოდელი ეფექტურად ფუქციონირებს. ჩვენი შედეგი ცხადყოფს, რომ ნარკოტიკების მომხმარებლების წარმატებული მკურნალობა შესაძლებელია.

მულტივარიაციულ ანალიზში ნაჩვენებია იყო, რომ არც უნივერსალურ ხელმისაწვდომობამდე გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფები კლინიკური სერვისებიდან ამოვარდნის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს გასაკვირი არ არის ვინაიდან 2004 წლის შემდეგ კლინიკური მომსახურებების პაკეტი მნიშვნელოვანდ გაფართოვდა, მათ შორის უფასო არც მკურნალობა, სრულყოფილი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები და სხვ. გარდა ამისა, სავარაუდოდ აივ დიაგნოზის ხანგრძლივობამაც შეუწყო ხელი ამ კავშირს და ეპიდემიის შედარებით ადრეულ ეტაპებზე გამოვლენილი პაციენტები უფრო მეტი სიხშირით იკარგებოდნენ სერვისებიდან ახლადგამოვლენილ პაციენტებთან შედარებით.

მულტივარიაციულ ანალიზში ასევე ნაჩვენებია იყო, რომ CD4+ ურჯედების საწყისი მაჩვენებელი  $\geq 350$  უჯრედი/მმ<sup>3</sup> ერთის მხრივ დაკავშირებული იყო კლინიკური სერვისებიდან ამოვარდნასთან, თუმცა მკურნალობაზე მყოფ პირებში ის ვირუსული სუპრესიის სარწმუნო პრედიქტორი იყო. აღნიშნული შედეგი იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მკურნალობის ადრეულ ეტაპებზე დაწყება გააუმჯობესებს კლინიკურ სერვისებში შენარჩუნებას და მკურნალობის გამოსავლებს. მაგალითისთვის სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული პროგრამების ანალიზით ნაჩვენებია იყო, რომ მკურნალობის დაწყებამ მაღალი CD4+ მაჩვენებლებისას შეამცირა პროგრამიდან დაკარგვის მაჩვენებლები.<sup>98</sup> ასევე აღსანიშნავია, რომ აშშ-ში უკვე რეკომენდებულია მკურნალობის დაწყება ყველა აივ ინფიცირებულში იმუნური თუ კლინიკური სტატუსის მიუხედავად.<sup>99</sup> ეს მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური პაციენტების კლინიკური გამოსავლების

გაუმჯობესების, ისე ახალი ინფექციების პრევენციის კუთხით. ნაჩვენებია იყო, რომ მკურნალობის გაფართოება პოპულაციურ დონეზე სარწმუნოდ ამცირებს ახალი ინფექციების რიცხვს.<sup>100-102</sup>

საქართველოში უკვე წამრატებით დაინერგა WHO-ს უკანასკნელი, 2013 წლის რეკომენდაცია, რომლის მიხედვით არც მკურნალობა ინიშნება CD4+ ურჯედების მაჩვენებელზე <500. ქვეყანაში არსებული აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს არც მკურნალობაზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას, საშუალებას იძლევა დაინერგოს ამერიკული მიდგომა, ანუ მკურნალობა ყველასათვის. თუკი ამასთან ერთად მოხერხდება აივ გამოუვლენელი შემთხვევების სულ ცოტა 80% გამოვლენა, მაშინ პრაქტიკულად განხორციელდება აივ/შიდსთან ბრძოლის სადღეისოდ ყველაზე ეფექტური მიდგომა არც მკურნალობა პრევენციისათვის. ამ მიდგომის გამოძახილია UNAIDS-ის მიერ შემოთავაზებული ახალი მიზანი „90-90-90“, რომელიც გულისხმობს 2020 წლისთვის აივ ინფიცირებულების 90%-ის გამოვლენას, გამოვლენილების 90%-ის ჩართვას არც მკურნალობაში, და არც მკურნალობაზე მყოფების 90%-ში ვირუსული სუპრესიის მიღწევას.<sup>103</sup> ექსპერტთა შეფასებით ამ მიზნის მიღწევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება აივ/შიდსის ეპიდემიის საბოლოო დამარცხებისათვის.

მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული საქართველოში მეორე რიგის არც მკურნალობის გამოსავლების შესწავლის კუთხით.

მსოფლიოში არც მკურნალობაზე მყოფი პაციენტების რიცხვის მატებასთან ერთად იზრდება პირველი რიგის მკურნალობის უშედეგობის მაჩვენებლები და შესაბამისად იზრდება მოთხოვნა მეორე რიგის მკურნალობაზე.<sup>104-106</sup> არსებული ინფრომაციით ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი პირველია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, რომელშიც შეფასდა მეორე რიგის არც მკურნალობის გრძელვადიანი ეფექტურობა.

კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ საქართველოში აივ რეზისტენტობის მქონე პაციენტების უმრავლესობა აღწევს და ინარჩუნებს ვირუსულ სუპრესიას მეორე რიგის არე მკურნალობაზე. ჩვენს კვლევაში ნაჩვენებია დრეული ვირუსოლოგიური პასუხი სხვა შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში - ძირითადად აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ნაჩვენები შედეგების მსგავსია, სადაც ვირუსული სუპრესია მიღწეულ იქნა პაციენტების დაახლოებით 80%-ში მეორე რიგის მკურნალობის დაწყებიდან მე-6 და მე-12 თვეებისათვის.<sup>107-111</sup> მეორე რიგის არე მკურნალობაზე ვირუსული სუპრესიის გრძელვადიანი მაჩვენებლების 19 კვლევის მეტა-ანალიზში ნაჩვენები იყო, რომ ვირუსული სუპრესია 78%-დან 62%-მდე მცირდება მე-6 თვიდან 36-ე თვემდე პერიოდში.<sup>107</sup> თუმცა მონაცემები მკვეთრად განსხვავდებოდა კვლევებს შორის, ზოგიერთ მათგანში ვირუსული სუპრესიას პაციენტების 90% აჩვენა.<sup>112-115</sup> ჩვენს კვლევაში ვირუსული სუპრესიის მაჩვენებელი 6 თვის შემდეგ მუდმივად 80%-ს აჭარბებდა.

მულტივარიაციულ ანალიზში მეორე რიგის მკურნალობის მე-6 თვის თავზე ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევის ყველაზე ძლიერი პრედიქტორი იყო დამყოლობის მაჩვენებელი <80% - ფარდობითი რისკი 5.09 (95% CI: 1.89-13.70,  $p=0.001$ ). სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა დამყოლობის დანარჩენ ორ კატეგორიას შორის - '100%' და '80-< 100%' ნაჩვენები არ იყო. მეორე რიგის მკურნალობაზე ვირუსოლოგიური უშედეგობის მქონე 5 პაციენტის აივ რეზისტენტობაზე გამოკვლევამ არ გამოავლინა პროტეაზას ინჰიბიტორების მიმართ რეზისტენტული შტამების არსებობა. ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ ისევე როგორც სხვაგან, რიტონავირით ბუსტირებუბული პროტეაზას ინჰიბიტორების შემცველი კომბინაციები „მიმტევებელი“ რეჟიმებია საქართველოშიც და რომ უშედეგობის ძირითადი მიზეზი დამყოლობის დარღვევაა და არა რეზისტენტობა.<sup>116</sup> მსგავსი შედეგები იქნა ნაჩვენები სამხრეთ აფრიკაში.<sup>109</sup> მართალია ჩვენს კვლევაში დამყოლობა გაუმჯობესდა მკურნალობის მოდიფიკაციის შემდეგ, დამატებითი ძალისხმევას საჭირო რათა

უზრნეველყოფილი იყოს მაღალი ხარისხის დამყოლობა გრძელვადიან პერსპექტივაში ყველა პაციენტში.

მსოფლიოში მეორე რიგის არე მკურნალობაზე მყოფ პირებში სიკვდილობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მერყეობს 3%-დან 16%-მდე.<sup>117-120</sup> ჩვენს კვლევაში პაციენტების 11% გარდაიცვალა დაკვრივების პერიოდის მანძილზე, მათ შორის 4 პაციენტი მკურნალობის შეცვლიდან პირველი 6 თვის ფარგლებში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სიკვდილის მიზეზი პირველი რიგის მკურნალობაზე განვითარებული ვირუსოლოგიური უშედეგობა იყოს. საქართველოში ვირუსული დატვირთვის რუტინული გამოყენება და პაციენტებში რეზისტენტული მუტაციების მცირე რაოდენობა მიუთითებს, რომ მკურნალობა დროულად იქნა შეცვლილი. აღნიშნულ პაციენტებში სიკვდილის მიზეზების ანალიზი ასევე არ მიუთითებს კავშირზე ვირუსოლოგიურ უშედეგობასა და სიკვდილს შორის. სიკვდილის 9 შემთხვევიდან 6 (67%) გამოწვეული იყო არა შიდს-ასოცირებული მდგომარეობებით, მათ შორის ღვიძლის ტერმინალური დაავადებით და გულსისხლძარღვთა პათოლოგიით.

აღნიშნული ანალიზი დამატებით მტკიცებულებას იძლევა იმ თვალსაზრისით, რომ სწორი მიდგომების შერჩევით მკურნალობის ოპტიმალური გამოსავლების მიღწევა ნარკოტიკების მომხარებლებში სავსებით შესაძლებელია. ჩვენს კვლევაში ვირუსული სუპრესიის მაჩვენებლები ნარკოტიკების მომხარებლები მერყეობდა 75% და 83% შორის დაკვრივების პერიოდის მანძილზე. გადრა ამისა მულტივარიაციულ ანალიზში ნარკოტიკების მოხმარება არ იყო დაკავშირებული ვირუსული სუპრესიის ვერ მიღწევასთან. ეს შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისათვის სადაც ხშირად ეს პოპულაცია მკურნალობის გარეშე რჩება არასწორი შეხედულებების გამო.<sup>121</sup> [ENREF 121](#)



## დასკვნები და რეკომენდაციები

წარმოდგენილი შრომა ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის არსებული მოდელი ეფექტურია პაციენტების კლინიკურ სერვისებში ჩართვის და შენარჩუნების და შესაბამისად არც მკურნალობაზე უნივერსალური უზრუნველყოფის კუთხით, რაც აისახა ქვეყანაში დაავადების გამოსავლების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა

ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა ნაკლოვანებები, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანი იქნება შემდგომი წარმატების უზრუნველსაყოფად. წამრდგენილი შრომის სპეციფიური დასკვნებია:

- არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდეგ სიკვდილობა აივ/შიდსით ავამდყოფებში ყოველწლიურად მცირდება, განსაკუთრებით თვალსაჩინოა შიდსთან ასოცირებული სიკვდილობის შემცირება
- წარმატების მიუხედავად შიდსით გამოწვეული სიკვდილობა რჩება მნიშვნელოვან პრობლემად, რაც განპირობებულია ქვეყანაში აივ გვიანი დიაგნოსტიკით, რომელიც სადღეისოდ სიკვდილის მთავარი მიზეზია
- ტუბერკულოზი და C ჰეპატიტი გამოწვეული ღვიძლის ტერმინალური დაავადება სიკვდილის წამყვანი მიზეზებია აივ/შიდსით ავამდყოფებში
- საქართველის აივ/შიდსის მკურნალობის და მოვლის მოდელი აივ დიაგნოზის შემდეგ უზრუნველყოფს პაციენტების მაღალ ჩართულობას აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში
- ქვეყანაში მცხოვრები აივ ინფიცირებული პირების სავარაუდო რიცხვის დაახლოებით ნახევარი გამოუვლენელია, რაც ხელს უწყობს როგორც გვიან დიაგნოსტიკას და შესაბამისად სიკვდილობას, ისე ინფექციის შემდგომ გავრცელებას
- არც მკურნალობაზე მყოფი პირების უმრავლესობაში მიღწეულია ვირუსული სუპრესია, მათ შორის მეორე რიგის არც მკურნალობაზე მყოფ პირებში. თუმცა დაბალი აივ გამოვლენის გამო ქვეყანაში მცხოვრები აივ ინფიცირებული პირების სავარაუდო რიცხვის მხოლოდ ერთი მეხუთედშია დათრგუნული აივ რეპლიკაცია

- ნარკოტიკების მომხარებლები რჩებიან მაღალი რისკის პოპულაციად როგორც სიკვდილობის, ისე კლინიკურ სერვისებში ჩართულობის მხრივ

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც აივ/შიდის გამოსავლების გაუმჯობესების, ისე მთლიანად აივ/შიდის ეპიდემიაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენის კუთხით:

- აივ გვიანი დიაგნოსტიკის გადარჩენის მაჩვენებლებზე დრამატული ზეგავლენის გათვალისწინებით კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში აივ/შიდის შემთხვევების ადრეულ სტადიებზე გამოვლენის გაუმჯობესებას, რაც უნდა განხორციელდეს:
  - o მაღალი რისკის პოპულაციებზე ორიენტირებული ტესტირების პროგრამების გაფართოებით, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ პოპულაციების აივ/შიდსზე გამოკვლევით მოცვის მნიშვნელოვანი ზრდა (სულ ცოტა 80%-მდე)
  - o აივ/შიდსზე კლინიკური ნიშნებით ტესტირების (ე.წ. ჯანდაცვის პროვაიდერის მიერ ინიცირებული აივ ტესტირების) რუტინული დანერგვით ჯანდაცვის სექტორში, მათ შორის ჯანდაცვის პირველად რგოლში
- შენარჩუნდეს და შეძლებისდაგვარად გაიზარდოს აივ/შიდის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის მაჩვენებლები მის მთელ სპექტრზე, მათ შორის ადრეული მკურნალობის კუთხითაც.ეს, ადრეულ გამოვლენასთან ერთად, საშუალებას მისცემს ქვეყანას სრულად მაოხდინოს არც მკურნალობის სარგებლის რეალიზება, როგორც სიცოცხლის ხანგძლივობის გაზრდის, ისე ახალი ინფექციების პრევენციის კუთხითაც

- დამატებითი ძალისხმევაა საჭირო ნარკოტიკების მომხარებლების აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის გაუმჯობესების კუთხით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დაავადების გამოსავლების გაუმჯობესებას ამ პოპულაციაში
- გაძლიერდეს აივ/ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ერთობლივი ღონისძიებები, მათ შორის:
  - o აივ/შიდსის შემთხვევების დროული გამოვლენა ტუბერკულოზით დაავადებულებში
  - o ტუბერკულოზის შემთხვევების ინტენსიური მოძიება აივ/შიდსით ავამდყოფებში, მათ შორის თანამეროვე მაღალტექნოლოგიური მიდგომების გამოყენებით როგორცაა მოლეკულური კვლევები GeneXpert-ის გამოყენებით აქტიური ტუბერკულოზის გამოსავლენად; ინტერფერონ გამას გათავისუფლებაზე დაფუძნებული ტესტების გამოყენება ლატენტური ტუბერკულოზის გამოსავლენად
  - o აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის (მათ შორის ლატენტური ფორმების) მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის შენარჩუნება
- უზრუნველყოფილ იქნას C ჰეპატიტის მკურნალობაზე, მათ შორის პირდაპირი მოქმედების ანტივირუსულ პრეპარატებზე ხელმისაწვდომობა ყველა აივ/C ჰეპატიტის კონფექციის მქონე პაციენტისათვის

## გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ცერცვაძე, კ. ნელსონი, მ. ბუწაშვილი, ნ. გოჩიტაშვილი. შიდასი. თბილისი; 1999.
2. Center for Disease Control and Prevention (CDC). Pneumocystis pneumonia--Los Angeles. MMWR Morb Mortal Wkly Rep 1981;30:250-2.
3. Center for Disease Control and Prevention (CDC). Kaposi's sarcoma and Pneumocystis pneumonia among homosexual men--New York City and California. MMWR Morb Mortal Wkly Rep 1981;30:305-8.
4. Barre-Sinoussi F, Chermann JC, Rey F, et al. Isolation of a T-lymphotropic retrovirus from a patient at risk for acquired immune deficiency syndrome (AIDS). Science 1983;220:868-71.

5. Gallo RC, Sarin PS, Gelmann EP, et al. Isolation of human T-cell leukemia virus in acquired immune deficiency syndrome (AIDS). *Science* 1983;220:865-7.
6. Tebit DM, Arts EJ. Tracking a century of global expansion and evolution of HIV to drive understanding and to combat disease. *Lancet Infect Dis* 2011;11:45-56.
7. UNAIDS. The Gap Report. Geneva: UNAIDS; 2014.
8. The top 10 causes of death. World Health Organization, 2014. . (Accessed October 25, 2014, at [http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs310/en/.](http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs310/en/))
9. Fischl MA, Richman DD, Grieco MH, et al. The efficacy of azidothymidine (AZT) in the treatment of patients with AIDS and AIDS-related complex. A double-blind, placebo-controlled trial. *N Engl J Med* 1987;317:185-91.
10. Fischl MA, Richman DD, Hansen N, et al. The safety and efficacy of zidovudine (AZT) in the treatment of subjects with mildly symptomatic human immunodeficiency virus type 1 (HIV) infection. A double-blind, placebo-controlled trial. The AIDS Clinical Trials Group. *Ann Intern Med* 1990;112:727-37.
11. Volberding PA, Lagakos SW, Koch MA, et al. Zidovudine in asymptomatic human immunodeficiency virus infection. A controlled trial in persons with fewer than 500 CD4-positive cells per cubic millimeter. The AIDS Clinical Trials Group of the National Institute of Allergy and Infectious Diseases. *N Engl J Med* 1990;322:941-9.
12. Hammer SM, Katzenstein DA, Hughes MD, et al. A trial comparing nucleoside monotherapy with combination therapy in HIV-infected adults with CD4 cell counts from 200 to 500 per cubic millimeter. AIDS Clinical Trials Group Study 175 Study Team. *N Engl J Med* 1996;335:1081-90.
13. Gulick RM, Mellors JW, Havlir D, et al. Treatment with indinavir, zidovudine, and lamivudine in adults with human immunodeficiency virus infection and prior antiretroviral therapy. *N Engl J Med* 1997;337:734-9.
14. Hammer SM, Squires KE, Hughes MD, et al. A controlled trial of two nucleoside analogues plus indinavir in persons with human immunodeficiency virus infection and CD4 cell counts of 200 per cubic millimeter or less. AIDS Clinical Trials Group 320 Study Team. *N Engl J Med* 1997;337:725-33.
15. Vella S, Schwartländer B, Sow SP, Eholie SP, Murphy RL. The history of antiretroviral therapy and of its implementation in resource-limited areas of the world. *AIDS* 2012;26:1231-41.
16. World Health Organization. Global update on the health sector response to HIV, 2014. Geneva: World Health Organization; 2014.

17. Volberding P, Greene W, Lange JMA, Gallant JE, Sewankambo N. *Sande's HIV/AIDS Medicine: Medical Management of AIDS 2013*: Saunders; 2012.
18. Palella FJ, Jr., Delaney KM, Moorman AC, et al. Declining morbidity and mortality among patients with advanced human immunodeficiency virus infection. HIV Outpatient Study Investigators. *N Engl J Med* 1998;338:853-60.
19. Mocroft A, Ledergerber B, Katlama C, et al. Decline in the AIDS and death rates in the EuroSIDA study: an observational study. *Lancet* 2003;362:22-9.
20. Sterne JA, Hernan MA, Ledergerber B, et al. Long-term effectiveness of potent antiretroviral therapy in preventing AIDS and death: a prospective cohort study. *Lancet* 2005;366:378-84.
